რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 16 ივნისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გაგრძ.

ფასი 7 კაპ.

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორი სათამდე 5 მანეთი მთელი ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 73 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 73

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

შაბათს, 17 ივნისს, დილის 11 საათზე შემოქმედის მონასტერში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, უფროსი სამხედრო ექიმის

მიხეილ (მიხაკო) ყარამანის ძის ცეცხლაძის,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ღრმათ დამწუხრებულნი განსვენებულის ძმა ილია ყარამანის ძე და რძალი ბაბო ალექსანდრეს ასული ცეცხლაძენი. 1—1

პარასკევს, 16 ივნისს, საღამოს 7 საათზე ქალების პირველ გიმნაზიის შენობაში

(ლორის-მელიქოვის ქუჩა)

მეოთხე რაიონის კოლექტივი რ. ს.-დ. მ. პ. იწვევს

საერთო რაიონულ კრებას

ამ რაიონის ყველა პარტიულ წევრებისას.

დღის წესრიგი: 1) არჩევნები მუდმივი კოლექტივისა და 2) მიმდინარე კითხვები.

ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ. მე 4 რაიონის კოლექტივი.

განცხადება.

სოფ. შუა და ზემო ამაღლებაში (გურია) გაიხსნა

სილიბისტრო ჯიბლაძის სახელობაზე უფასო

წიგნთსაცავ სამკითხველო.

შემოწირულება მიიღება: Мест. Чохатаури Владиміру Джибути для библіотеки.

3—1 წიგნსაცავ სამკითხველოს გამგეობა.

კინო A. R. S.

საზაფხულო შენობა, მ ხეილის პრო პექტი № 91.

15, 16 და 17 ივნისს, ნაჩვენები იქნება გრანდიოზული სურათი

უდანაშაულო მსხვერპლი

მეტად საინტერესო დრამა 5 ნაწილად.

შედგენილი გაბრიელ დანუნციოს ცნობილი რომანის თანახმად. მთავარ როლებში სახელმწიფო თეატრის მსახიობები: ვ. ვ. მაქსიმოვი, გორიჩევა და ო. ვ. რახმანოვი დასასრულ კომიკური სურათები, სიმებიანი ორკესტრი.

1—1 დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საარჩევნო ბიურო მე-10 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მიხეილოვის ქუჩაზედ № 102, ეზოში (ქართული წრის კანტორაში) და ავჭალის აუდიტორიაში, სადაც შეიძლება, გამორჩენილი წევრების ჩაწერა და საჭირო ცნობების მიღება ყოველ დღე დილის 10—12 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

საარჩევნო ბიურო მე-9 სამილიციო უბნისა

მოთავსებულია მეცხრე უბნის სასურსათო კომიტეტის ბინაზე (რეუტოვის ქუჩა № 31) ტელეფონი 16—29. ყველა ის პირნი, რომელნიც არ არიან შეტანილი საარჩევნო სიაში ვთხოვთ გამოცხადდენ ჩასაწერათ საარჩევნო ბიუროში (რეუტოვის ქუჩა) ამხ. ლაბაურთან.

საარჩევნო ბიურო რ. ს. დ. მ. პ.

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის ბიუროში

იყიდება შემდეგი წიგნები:

1) სოციალ დემოკრატია და ქალაქის თვითმართველობა რუსულ ენაზე 20 კაპ.
2) პროგრამა რ. ს.-დ. მ. პ. რუსულ, ქართულ და თათრულ ენაზე თითო 10 კაპ.
3) საყოველთაო საარჩევნო უფლება რუსულ ენაზე . . . 15 კაპ.
4) მუნიციპალური პლატფორმა რუსულ და ქართულ ენაზე თითო . 5 კაპ.
5) ძირს სოციალ-დემოკრატია რუსულ ენაზე . . . . 20 კაპ.
6) აგრარული პროგრამა. კრიტიკა რუსულ ენაზე . . . . . 15 კაპ.

ინტელიგენტ ქალთა ჯგუფის

ჭრა კერვის სკოლაში გაიხსნა მოკლე ვადიანი კურსები. ასწავლიან ჭრა კერვას და ყოველ გვარ ქარგვას. მოწაფეების მიღება გრძელდება. სწავლის ფასი ხელ მისაწვდომია ყველასათვის. ღარიბები მუქთად. აქვე მიიღება შესაკერავად კაბები და სხვა.

მისამართი: ვერის დაღმართი, სახლი № 3. ბინა № 9. ეზოში. (10—7)

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

სტუდენტი

ამზადებს ყველა სასწავლებლისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხის და წოდებაზე. ვერა. ყაზბეგის ქუჩა № 5. 6—6

ბაქოს რკინის გზის სახლების ეზოში

დაიკარგა

ტყავის საფულე 119 მ ნეთით. აგრეთვე სალდათობიდგან თავისუფლების ბილეთი ერქეთის კომისარიდგან მოცემული, პასპორტი და სხვა და სხვა საბუთები. მნახველს ვთხოვ საბუთები დამიბრუნოს და ფული მისთვის დაიტოვოს.

მისამართი: ღ. ჩოხატაურში სოფელ ერქეთში ვანო ანტონის ძე მგალობლიშვილი.

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

თფილისის საქონლის სადგურის ხელის მომწერლების საყურადღებოთ.

ვისაც გაზეთის ფული არ შემოგიტანიათ, გთხოვთ დაუყონებლივ შემოიტანოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის მიღება შეწყდება და მასთან აღვნიშნავთ სახელსა და გვარს გაზეთის ფურცლებზე.

პატივისცემით **ხ. ლ. ჩიგოგიძე.**

გ. გ. მუხრაშვილი

შინაგან ავათმყოფობა ქალებისა და ბავშვის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გასინჯვა და წამლობა სხივებით, აგრეთვე ყველანაირი ქალის წამლობა და ელექტრონით წამლობა: [illegible] **—ტრიით, დიდი სოლიუქსის** [illegible] **და არსონვალის ტოკით** [illegible] **ავადმყოფობისათვის,** [illegible] **და აგრეთვე** [illegible] **სისხლ ნაკლებობის,** [illegible] **ნევრასთენიისთვის.** [illegible] **და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი:** [illegible] **ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92**

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 8—5 [illegible] პირდაპირ, რაზიუნდის ქუჩა, № 19.

ექიმი მღვდელი

ს. ა. ლექავა

შინაგანი, ბავშვებისა და კანის ავადმყოფობა. მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 8—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 52.

10—10

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტროობისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ, და სა 6—8 დ. საათამდე

ქუთაისში

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე. პუშკინის ქუჩა, ვიტკენსკის სახლი

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღია საღამოს 5—7 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღია დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღია საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღია 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღია დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღია დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღია დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

ვანდერველდემ ფრონტი იცვალა.

ბელგიის სოციალისტურ მუშათა პარტიის ცნობილმა ლიდერმა ემილ ვანდერველდემ უკვე ფრონტი იცვალა და იგი სწორ მარქსისტულ გზას უბრუნდება. ოპორტუნისტული ბრძოლის საშუალებანი, რომლებიც კი მას, როგორც ომის დაწყებამდე—ისე ომის დროსაც სწორ და შეურყეველ გზათ მიაჩნდა—ახლა თვით ვანდერველდის შეხედულებითაც უვარგისი გამოდგა და სხვა სახელწიფოების მარქსისტებთან ერთად განადგურებულ და დამორჩილებულ ბელგიის აღდგენა-განთავისუფლებას საერთაშორისო დემოკრატიის გაერთიანებულ მოქმედებიდან მოელის.

ბუნებით ოპორტუნისტი თითქმის უკანასკნელ დღემდის ბელგიის განთავისუფლებას შეთანხმების სახელმწიფოების ჯარების ძლევამოსილებაზე ამყარებდა და დასახელებულ სახელმწიფოების მილიტარიზმს მუდმივი მოწოდებით გერმანიის კოალიციის წინააღმდეგ ამხედრებდა. ასეთი გზით—ვიმეორებთ მას სურდა ბელგიის განთავისუფლება და საერთაშორისო მშვიდობიანობის ჩამოგდება. მაგრამ ჩვენ კარგათ ვიცით თუ ვანდერველდესა და მის მგზავს ოპორტუნისტების ასეთმა მოწოდებამ რა ნაყოფი გამოიღო და იმპერიალისტების წისქვილზე რა დიდი წყალი მიუშვეს.

ხოლო ახლა, როცა რუსეთის დიდმა რევოლიუციამ საერთაშორისო დემოკრატია გამოაღვიძა, ინტერნაციონალური მუშათა კლასი იმპერიალისტთა კლასების ბრჭყალებიდან გაანთავისუფლა და უკანასკნელებიც მარქსისტულ გზას დაუბრუნდენ—სწორეთ ასეთ საერთო ნგრევა შენების ხანაში, საერთო აზროვნებათა რევოლიუციის დროს ყველა ქვეყნის ოპორტუნისტები და მათ შორის ვანდერველდეც გამოფხიზლდა და მან ეს სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების დელეგატთა ყრილობაზე განაცხადა. მან სხვათა შორის სთქვა: სოციალისტთა შორის კავშირი ეხლა უფრო საჭიროა ვიდრე ოდესმე. მე მწამს, რომ ეხლა შესაძლებელია საერთაშორისო კავშირი ყველასთან, ვისაც სურს მისცეს ხალხის თვითგამორკვევის უფლება, მისცეს თავისუფლება შინაურ და გარეშე ხალხს, ის აუცილებლათ ინტერნაციონალურ მუშათა კლასის გაერთიანება-შეკავშირების ნიადაგზე უნდა დადგეს. ევროპა და საზოგადოთ კაცობრიობას იმპერიალისტური პოლიტიკის ბორკილიდან განთავისუფლება, მსოფლიო ომის მოსპობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ინტერნაციონალი თავის სიმაღლეზე დადგება და ძლიერათ გაშლის ფრთებს.

ეჭვს გარეშეა მსოფლიო ომის წარმოუდგენელ სიდუხჭირის თავიდან აცილება მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ინტერნაციონალური დემოკრატიის შეკავშირება გაერთიანების ნიადაგზე უნდა მოხდეს. თვით მარქსი ამ სამოცი წლის წინათ მსოფლიო ომის აუცილებლობაზე ლაპარაკობდა და იგი საერთაშორისო დემოკრატიას მოუწოდებდა ისინი მზათ ყოფილიყვნენ და შეერთებული ძალით დაემხოთ იმპერიალისტების ძალმომრეობა და მისი ქვეყნის დამღუპველი დაპყრობითი პოლიტიკა.

მაშასადამე საერთაშორისო დემოკრატიის გაერთიანება, ორგანიზაციულათ გამოსვლა, საერთო ზომების შემუშავება ერთადერთი გზაა, რომელიც ინტერნაციონალურ დემოკრატიას დაღუპვისაგან იხსნის.

რუსეთის დემოკრატიის ზეგავლენით ასეთ გზას უკვე დაადგა გერმანია ავსტრიის, საფრანგეთის, ინგლისის და ახლა ამათ ბელგიის სოციალისტური პარტიების ლიდერიც და ყველა ერთხმათ საერთაშორისო ნიადაგზე დგებიან.

მხოლოდ ამ გზას ეწინააღმდეგებიან ზოგიერთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბლანკისტები, ავანტიურისტები, რომლებიც საერთაშორისო დემოკრატიის მარქსისტულ მოძრაობას ბავშურათ ეთამაშებიან და ეს რევოლიუცია მათ ხელში აზარტულ სათამაშო საგნათ გადაქცეულა.

ასეთი ბლანკისტობა კი რევოლიუციის მიერ დაწყებულ მთელი ევროპის დემოკრატიის ომის წინააღმდეგ ორგანიზაციულათ გამოსვლის საქმეს საფრთხეს უქადის და მით მთელ საერთაშორისო პროლეტარიატის [illegible] ტაქტიკას განსაცდელში აყენებს.

მაგრამ ავანტიურა მუდამ ხანმოკლე დღისა ყოფილა, იგი თავისი თავხედობით საერთაშორისო დემოკრატიას სწორ გზას ვერ ააცდენს და მარქსისტული გზით მავლობა აუცილებელია. მასა თავისთავად არა დროს, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, არც ოპორტუნისტული და არც ანარქისტული არ ყოფილა და არც იქნება. მისი გზა ობიექტიური პირობებიდან გამომდინარეობს და ეს ობიექტიური პირობები მას დღეს ისეთ მავლელობას უკარნახებს როგორიც უკარნახა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ.

უკანასკნელი კი მოითხოვს, რომ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა საერთაშორისო დემოკრატია ორგანიზაციულათ გამოვა და ომის წინააღმდეგ შეთანხმებულ, სისტემატიურ მუშაობას დაიწყებს. აი სწორი გზა, რომელსაც ამ ჟამათ საერთაშორისო დემოკრატია იზიარებს და არ ეთანხმება ბლანკისტ-ანარქისტებს.

ანარქია სოფლად.

რუსეთის იმპერიის სხვადასხვა სოფლებში ანარქია ძლიერდება. უსისტემოთ ადგილ-მამულების დასაკუთრება, ნახნავ ნათესების განადგურება, მღვდლების აწიოკება და სხვა ამისთანები ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა და საერთო რევოლიუციონურ მოძრაობას ორგანიზაციული ხასიათი ეკარგება.

ამ რევოლიუციის ხანაში, როცა ისტორიულათ ყოველგვარ უფლებასა ეკონომიურ კეთილდღეობას მოკლებული ხალხი ძალას ხელში იგდებს, ყველაზე მეტათ საჭიროა მისი ორგანიზაციულათ ამოძრავება. ეს ექსცესები და ანარქიულ გამოსვლას საერთო მოძრაობისათვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლია და რევოლიუციის გაღრმავებას ხელს შეუშლის.

ეჭვს გარეშეა—მთელი რევოლიუციონურ პარტიების ძალ ღონე იქეთ უნდა იყოს მიქცეული, რომ რევოლიუციონურ ძალების ამოძრავება განსაზღვრულ სისტემით, განსაზღვრული მეთოდით ხდებოდეს და მთელი მოძრაობა შესაფერ რევოლიუციონურ კალაპოტში დგებოდეს. მართალია რევოლიუციონურ მოძრაობის პროცესს მუდამ და ყოველთვის თანდევს ეგრეთწოდებული ანარქია დანაწილებულათ ხალხის გამოსვლები, მაგრამ რევოლიუციონურ კლასების ავანგარდი—პროლეტარიატი მის მუდამ შეგნებულ და ორგანიზაციულათ ამოძრავებას ცდილობს. სწორეთ ამაში მდგომარეობს მისი დანიშნულება, წინააღმდეგ შემთხვევაში დეზორგანიზაციას რევოლიუციონურ მოძრაობის ფართო ხალხის თვალში სახელის გატეხა აუცილებელი იქნება. შეგნებულმა მუშათა კლასმა და მისმა ხელმძღვანელ ორგანოებმა უნდა მოქმნან ისეთი პირობები, ისეთი საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება, როცა ფართო მასის რევოლიუციონურ ინსტინქტს, სწორი მავლელობა მისცეს, რევოლიუციონურ მოძრაობას სტიქიის და „ბუნტოვშჩინის" ხასიათი ჩამოშორდება და ხალხის მოძრაობა უფლებრივ მავლელობის ჩარჩოებში ჩადგება. მაგრამ მოძრაობისა და რევოლიუციის მიერ მოპოებული უფლების ნორმალურ პირობებში ჩაყენებისათვის საჭიროა ნორმალური უფლებრივი ორგანოები, ასეთი ორგანოები დღეს დღეობით რუსეთის რევოლიუციის ხანაში არ მოიპოვება. ახლა ძალაუფლება თითქმის ქუჩაში სწყდება და დროებითი რევოლიუციონური ორგანოებიც, როგორც არის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ქუჩაში ძალთა განწყობილების გავლენას განიცდის.

რევოლიუციონურ ორგანოებს ძალთა მოღვარება ვერ დაუმორჩილებია და ხშირად უორგანიზაციო ხალხი მისი ხელიდან მიდის და ანარქიის ფერხულში ებმის.

ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ მოწვეულ უნდა იქნას დამფუძნებელი კრება, რომელიც ერთად ერთი და ხალხის სწორი უფლების გამომხატველია. ამ ორგანოს შეუძლიან ის

მრავალი ეკონომიური და სოციალური უკუღმართობა, რომელიც ჯერ ჯერობით არ არის მოწესრიგებული, კანონმდებლობის გზით თავიდან იქნება აცილებული და ამ გზით ანარქიას ბოლო მოეღება.

ბურჟუაზია ასეთ ორგანოს მოწვევას შორი დროისთვის სდებს, იგი შეგნებულათ აგვიანებს და ამ გზით ანარქიის გაძლიერებას ხელს უწყობს. უკანასკნელი კი მისი წისქვილის ამოძრავებაა და რევოლუციის დასამარება. აი—ასეთ პირობებში რუსეთის რევოლუციონური მუშათა კლასი და გლეხკაცობა დამფუძნებელ კრების დაუყონებლივ მოწვევას მოითხოვს და ამ გზით შეეცდება ანარქიის ჩაქრობას.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 13—14 ივნისი).

ნემცები ოსმალეთს დაეპატრონენ.

ათინა. აქ მოსულ ცნობით ნემცებმა გადასწყვიტეს არა თუ მარტო პოლიტიკური ცხოვრება, მთელი ოსმალეთის სასოფლო მეურნეობა ხელში ჩაიგდონ. მთელი მცირე აზია დაყოფილია რამდენიმე სამეურნეო ოლქათ და თვითოეულ ოლქს სათავეში უდგას მიწათმოქმედების ნემეცი ინსპექტორი. მთავარი ცენტრები არის სივასი, დიარბექირი, სმირნა და ანგორა.

სინფეინერების შეტაკება.

ლონდონი. კორკიდან იტყობინებიან, რომ კვირა საღამოს სინფეინერების პროცესია თავს დაესხა ჯარში გასაწვევ ახალგაზრდა ჯარისკაცთა ბიუროს. მას წინააღმდეგობა გაუწიეს ფრონტზე მოსამსახურე ჯარისკაცთა მშობლებმა. ამან დიდი უწესოება გამოიწვია. პოლიციამ რამდენჯერმე მიიტანა იერიში ბრბოზე გამოიწვიეს ჯარი. ტყვიის მფრქვეველით მოკლეს ერთი, რამოდენიმე კაცი ხიშტით დასჭრეს.

რომანოვებს გადასახადები დაადვეს.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა გადასახადების ფურცლები გაუგზავნოს რომანოვთა გვარეულობის ყველა წევრს, რადგან იგინი ვალდებულათ გახადეს შემოსავლის კვლობაზე გადასახადი გადაიხადონ.

დროებითი აგრარული კანონი.

პეტროგრადი. მიწათ მოქმედების სამინისტრომ შეიმუშავა დროებითი აგრარული კანონის პროექტი. ყველა მიწები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა აქვთ, დამფუძნებელ კრებამდე, მიწების კომიტეტების დროებით განკარგულებაში გადადიან: კომიტეტები არკვევენ რამდენი მიწა უნდა დაიმუშაოს თემმა, ამხანაგობამ და კერძო პირებმა, დანარჩენი მიწა საჯარო ფონდს შეადგენს.

საგანგებო საარჩევნო თათბირი.

პეტროგრადი. დამფუძნებელ კრების საგანგებო საარჩევნო თათბირში დროებითმა მთავრობამ მიიღო [illegible] პარტიების წარმომადგენელი და ლორთქიფანიძე ქართველების პარტიების—წერეთლის მაგიერ.

მუშათა და ჯ.-კაცთა დეპუტ. საბჭ. დელეგატების სრულიად რუს. ყრილობა.

(პ. ტ. ს.)

12 ივნისს კრება მოხდა საღამოს. სიტყვა წარმოსთქვა ამერიკის საგანგებო საელჩოს წარმომადგენელმა ჩარლზ რუსელმა, რომელმაც განაცხადა, რომ ის მოვიდა რუსეთში ამერიკელ ხალხის, მუშების, რადიკალ-სოციალისტების დავალებით, რომ მიესალმოს ყრილობას და გადასცეს მას რა ღრმა მადლობას უძღვნიან ამერიკელები რუსეთის დემოკრატიას დემოკრატიის საქმისთვის უდიდესი ღვაწლისთვის. რუსეთის დიდებულმა რევოლუციამ მძლავრ გრიგალივით გადაუარა მთელ სამყაროს და ყველგან ცხოვრება შეანძრია. ეს დიდებული მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. თითქოს უკუნეთ ღამეში უცბათ გაბრწყინდა ახალი პლანეტა და სიბნელის ზეწარი დაფხრიწა. თქვენს გამარჯვებაში ჩვენ დავინახეთ მთელი ქვეყნის მომავლის გამარჯვების იმედი. მე კიდევ ერთი რამ მაქვს დავალებული. მე მოვედი მთელ ქვეყანაზე ყველაზე მშვიდობიან ხალხის მიერ გამოგზავნილი, რომ მოგახსენოთ ბოლოსკენ დიდი ხანია ამერიკელები მშვიდობიან ცხოვრებას ეჩვეოდნენ და სრულებით არ ფიქრობდნენ, რომ ვინმესთან შეტაკება მოუვიდოდათ და არც ემზადებოდნენ ამისთვის. ჩვენ არც ჯარი გვყავდა არც ფლოტი და არც ჯარისთვის საჭირო მასალა. ყველა ამერიკელთაგან, რომელთაც ეზიზღებათ ომი, ყველაზე მეტათ ზიზღით უყურებს ომს ის ნაწილი, რომელმაც მე გამომგზავნა. ეხლა ამ მშვიდობიანმა ხალხმა გადასწყვიტა ჩაერიოს ამ საშინელ სისხლის ღვრაში. მუშები და მთელი დემოკრატია შეერთდა მხარი დაუჭირონ იმ საშინელ საქმეში, რომელიც გვეზიზღებით. ასეთ ცვლილებას იმით ხსნის რუსელი, რომ ავტოკრატიის დამარცხება მხოლოდ იარაღით შეიძლება. ჩვენი და თქვენი თავისუფლება—სთქვა რუსელმა—სიკვდილის პირას სდგას. ჩვენ რომ ნეიტრალობით და ჩინელივით თქვენ უფლება გქონდათ მოღალატე და მშიშრები გეწოდებინათ ჩვენთვის. თავისუფალი სიტყვა ნაყიდია წინათ დახოცილების სისხლით, რომ ამ თავისუფლებით ვისარგებლოთ, რომელიც სისხლით და ცრემლებით მოუპოვებიათ სხვებს, ჩვენც მონაწილეობა უნდა მივიღოთ ბრძოლაში რომ თავისუფლება მთელს ქვეყანაზე დამყარდეს. ამიტომ ჩვენ ვალდებული ვიყავით დავეწყო ომი. ჩვენ ვხედავთ როგორ ცდილობს მხეცი აბსოლიუტიზმი თავისუფლება ისევ რკინის ხუნდებში ჩაჭედოს. ვიცით, რომ თუ ეს მოხდა მთელი ქვეყნის პროგრესი უკან დაიწევს და სოციალიზმის განხორციელების იმედიც გაქრება, ჩვენი თხოვნაა—წინ! თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ჩვენც გვეყვებით რუსეთის დემოკრატიას. (ხანგრძლივი ტაში). რუსელს მიესალმა და მადლობა გადაუხადა ყრილობის თავმჯდომარე ჩხეიძე. მან სთქვა, რომ რუსეთის დემოკრატია თანამედროვე საზოგადოებრივ მოვლენებს თავის დიდ რევოლუციის ინტერესების თვალთახედვის ისრით უყურებს. ეჭვს გარეშეა საჭირო ბოლო მოეღოს ამ საშინელ ომს, რუსეთის რევოლუციის მიერ წამოყენებული ზავი ჩქარა მოხდეს. ჩხეიძე სთხოვს რუსელს გადასცეს ამერიკელებს, რომ რუსეთის დემოკრატია ელის მათგან დიდ დახმარებას ომის ბოლოს მოსაღებათ, რომ შემდეგ სხვა ქვეყნის დემოკრატიასთან ერთად მედგრათ გასწიოს წინ სოციალიზმისაკენ. გაუმარჯოს ამერიკის პროლეტარიატს (ტაში).

შემდეგ ყრილობამ კენჭი უყარა ომთან დამოკიდებულების შესახებ საკითხის რეზოლიუციას. უარჰყვეს მენშევიკ-ინტერნაციონალისტების და ბოლშევიკების რეზოლიუცია და მიიღო სოც.-დემოკრატების და ს.-რევოლუციონერების ფრაქციების რეზოლიუცია, რომელიც დანმა წაიკითხა. ამ რეზოლიუციაში ნათქვამია: „ვსცნობთ რა, რომ ომის ჩქარა გათავებისთვის ბრძოლა რევოლუციონურ დემოკრატიის ერთ მთავარ მიზანს შეადგენს, რომელსაც უკარნახებს როგორც რევოლუციის ცხოვრების ინტერესები, ისე ყველა ქვეყნის მშრომელ ხალხის მისწრაფება შესწყვიტონ ურთიერთ ხოცვა ჟლეტა და დაამყარონ სრული მშვიდობიანობა, ყრილობა სცნობს: 1) ერთი რომელიმე მებრძოლ ჯგუფის განადგურება ისევ ხელახალ ომს გამოიწვევდა, 2) სეპარატიული ზავი გააძლიერებს ერთ მებრძოლ მხარეს და საშუალებას მისცემს მას გაიმარჯვოს მეორეზე, გაძნელდება მსოფლიო იმპერიალიზმისაგან რუსეთის განთავისუფლება, მთელი ქვეყნის მშრომელთა გაერთიანება, ამიტომ ყრილობა კატეგორიულად უარს ყოფს ყოველგვარ ცდას მოხდეს სეპარატიული ზავი, ან მისი წინამორბედი სეპარატიული დროებით შერიგება. რადგან ომის გათავება შეიძლებელია მხოლოდ მთელი ქვეყნის დემოკრატიის შეერთებულ ძალით, ამიტომ რუსეთის რევოლუციონურმა დემოკრატიამ მიმართა მოწოდებით ყველა ქვეყნის დემოკრატიას, რომ მათაც მხარი დაუჭირონ „უანექსიო და უკონტრიბუციო“ ზავის ლოზუნგს, ხალხთა თვითგამორკვევის ნიადაგზე და ამ მხრით გავლენა იქონიონ თავიანთ მთავრობებზე, რომ მათ ყოველგვარ ზომები მიიღონ ინტერნაციონალის აღსადგენათ, საერთაშორისო სოციალისტურ ყრილობის მოსაწვევათ, რომ მათ ამ მიზნების განსახორციელებლათ საჭიროა დაუყონებლივ გაგზავნილ იქნას დელეგატები მოკავშირე და ნეიტრალურ ქვეყნებში, რომ მოიწვიონ რუსეთში ამ ქვეყნებიდან ყველა სოციალისტურ მიმდინარეობის წარმომადგენლები. ყრილობა სასტიკ პროტესტს აცხადებს იმ დაბრკოლების შესახებ, რომლებსაც ხმარობს იმპერიალისტური მთავრობა ამ დელეგატების წამოსვლის წინააღმდეგ. ყრილობა საჭიროთ სცნობს დროებითმა მთავრობამ მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები შემოუერთდნენ მოკავშირე სახელმწიფონი რუსეთის რევოლუციონურ დემოკრატიის მიერ წამოყენებულ ზავის პროგრამას. მთავრობამ ეხლავე უნდა მიიღოს ზომა დაუყოვნებლივ გადასინჯულ იქნას ხელშეკრულებანი მოკავშირე სახელმწიფოებთან და მტაცებლობითი პოლიტიკა გადაჭრით უარჰყოს. ჯერ სანამ ომს მოუღებდეს საერთაშორისო დემოკრატია ბოლოს, რუსეთის დემოკრატიამ უნდა ეცადოს გააძლიეროს ჯარი, რადგან ფრონტის დამარცხება რუსეთის რევოლუციის დამარცხება იქნება და საერთაშორისო დემოკრატიის საქმის დასუსტება. შეტევის საკითხი უნდა გადასწყდეს წმინდა სამხედრო, სტრატეგიულ მოსაზრებით.

რეზოლიუციის მიღებამ უმრავლესობის ტაშის ცემა გამოიწვია.

ბოგდანოვი პრეზიდიუმის სახელით მიმართავს ყრილობას გვირგვინებით შეამკონ რევოლუციის მსხვერპლთა საფლავები მარსის მინდორზე. (ხმები გთხოვთ). პრეზიდიუმი წინადადებას იძლევა დიდი პოლიტიკური მანიფესტაცია მოახდინონ. (ტაში). მანიფესტაციის მოსაწყობათ აირჩიეს კომისია.

(დასასრული არ მოსულა).

ახალი ამბები

ჯიბგირების გასამართლება ჯარისკაცების მიერ. 13 ივნისს თფილისის სადგურზე სამწუხარო ამბავი დატრიალდა: ბაქანზე ღამის 12 საათზე ყარსში მიმავალი მატარებელი იდგა. მეორე კლასის ერთერთ ვაგონთან რაღაც არევ-დარევა მოხდა, მოისმა ხმა „დაგვეხმარეთო“, საითკენაც გაეშურენ სადგურის დაცვის კომისიის წევრები. ერთმა პრაპორშჩიკმა იქ მისულთ ორი კაცი გადასცა და უთხრა: ერთმა ამათგანმა ჯიბიდან საფულე ამომაცალა 150 მ. და მეორეს გადასცაო. როდესაც დაჭერილნი რამდენიმე ნაბიჯით მოშორდნენ, იქვე ბაქანზე ნახეს საფულე. ფული უკლებათ იყო. როგორც ეტყობა, საფულე ჯიბგირს უნდა გადაეგდოს. დაჭერილნი სამორიგეო ოთახში შეიყვანეს. ერთი აღმოჩნდა მე-218 პოლკის ჯარისკაცი ნიკოლოზ ვართანოვი, მეორე მე-39 დივიზიის მეორე ლაზარეთის ჯარისკაცი ვასილ ჩხეიძე. ამ უკანასკნელის ქაღალდები რიგზე იყო. ამ დროს ორი მატარებელი იდგა გასაგზავნი ჯარის-კაცებით სავსე. ამ მატარებლის ჯ.-კ. მოვიდნენ სამორიგეო ოთახთან და მოითხოვეს დაჭერილების გასამართლება; ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ ისინი დაამშვიდეს, მაგრამ ეს ხანგრძლივი არ გამოდგა. რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ გამოცხადდა რამდენიმე ასი კაცი და მოითხოვეს დაჭერილების გადაცემა. თქვენ თითონ უწყობთ ხელს ჯიბგირებს და ქურდებსო, ამბობდნენ ჯარის კაცები. ამ დროს საიდგანღაც მოირბინა ოთახში საკანტროლო როტის ჯარის კაცმა ლენიზოგომამ. ის მეტისმეტათ აღელვებული იყო. ამოიღო რევოლვერი და ჯარისკაცებს მუქარით მიმართა. ჯარისკაცებს ეჭვი დაებადათ. სტაცეს ხელი და იარაღი აჰყარეს მას. შემდეგ გაჩხრიკეს. მას აღმოაჩნდა ფულად 815 მ. 37 კ. ორი საფულე, ჯიბის დანა და მაკრატელი. ამ დროს არევ-დარევით ისარგებლა ერთმა დაჭერილთაგანმა—ვართანოვმა და ფანჯრიდან გადახტა და გაიქცა, მაგრამ ის დაიჭირეს და მოიყვანეს. ამ დროს მოთმინებიდან გამოსული ჯარის კაცები ეცნენ სამივე დაპატიმრებულთ და დაუწყეს უმოწყალოთ ცემა, ვისაც რითაც შეეძლო და რაც ხელში მოჰყვებოდა. სცემეს სანამ სრულიად არ მოჰკლეს ისინი. სცემდნენ მაშინაც კი, როცა აშკარათ ეტყობოდა, რომ მკვდრები იყვნენ. სადგურის დაცვის კომისიის ზოგიერთი წევრებიც გვარიანათ მიბეგვეს ამ გასამართლების დროს. სამწუხაროა, როცა ადამიანი ასეთი გასამართლების მოწამე ხდები, მაგრამ უფრო სამწუხაროა ზოგიერთების ლაპარაკის მოსმენა ამ დროს, რომლებიც ასეთ გასამართლებას საუკეთესო საშვალებათ აღიარებენ.

◆ **ქალაქის თვითმართველობანი** უნდა შემოღებულ იქნას თანახმად ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის დადგენილებისა გუდაუთში, ოჩემჩირეში, არმავირში, ზუგდიდში, ახალ-სენაკში, სამტრედიაში, ქიათურაში, ართვინში, ყარსში და სხ. დაბა ქალაქებში.

◆ **თფილ. საქონლის სადგურის მუშებმა** 15 ივნისიდან დაიწყეს რკ. გზის უფროსთან შეთანხმებით 8 საათ. სამუშაო დღე. მუშაობა იწყება დილის 6 ს. თავდება 3 ს. ერთის საათის დასვენებით 11 საათზე.

◆ **თფ. ქალთა უმაღლესი კურსების** სამეურვეო კომიტეტის წევრათ აირჩიეს ნოე ჟორდანია. ქალაქის საბჭოს და უნივერსიტეტის კომისიამ დაადგინა იშუამდგომლოს, რათა ქალთა უმაღლეს კურსებთან იურიდიული ფაკულტეტის მოსაწყობათ გადაიდოს 300 ათასი მანეთი.

◆ **თფილისის გუბერნიაში** სარაიონო სასურსათო კომიტეტის მოსაწყობათ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ახ. ზეპელიძეს გზავნის. მიწათ-მოქმედების სამინისტრომ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებს დაავალა ადგილობრივათ დათესვის და მიწათ მოწყობის საქმეთა მოწესრიგება მიწათ მომწყობი საგუბერნიო კომიტეტების დაარსებამდე.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს** აღმასრულებელი კომიტეტის მუშათა სექციის კრებაზე 13 ივნისს გადაწყდა გარჩეულ იქნას ჟანდარმთა სამმართველოს არქივი. საჭიროა ცნეს საბუთების შემნახველის—არქივარიუსის დაქირავება. აირჩიეს კომისია: ამხ. ზურაბოვი, კახიანი და ჩერქეზიშვილი; მათ უფლება მიეცა მოიწვიონ მცოდნე პირნი. საგამოცემლო კომისიას დაუმატეს ერთი წევრი—ესსენი. საგამომძიებლო კომისიაში მუშათა სექციიდან აირჩიეს: ქარცივაძე, აზატიანი, ტერ გევონდიანი, თევზაია. კავკასიის საინჟინრო-სამშენებლო საფოსტო კომიტეტში წარმომადგენლათ არჩეულ იქნა ამხ. პავლე წულაია; კანტორის ქარხნებში მუშათა მოთხოვნების გამოკვლევით და მუშათა და პატრონებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებების მოსაწესრიგებლათ აირჩიეს ა. მაისურაძე. დაბოლოს კრებამ განიხილა ნოე ჟორდანიას მოხსენება ჯარში მუშაობის შესახებ. მომხსენებლის აზრით აღმასრულებელმა კომიტეტმა ყოველგვარი ზომები უნდა იღონოს ჯარში არსებულ ანარქიის მოსასპობათ. ერთხმად დაადგინეს გამოყოფილ იქნას აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობისაგან პროპაგანდისტების ჯგუფი და სამხედრო სექციის პროპაგანდისტთა კოლეგიასთან შეთანხმებით უნდა გამომუშავებულ იქნეს მუშაობის საერთო წესი. გაარჩიეს აგრეთვე საკითხი ქუჩური მიტინგების შესახებ. უმრავლესობის აზრით ასეთ მიტინგებს სარგებლობის მოტანა შეუძლია, უკეთუ მას სათანადო ყურადღებით მოეპყრობიან. შედგა 5 პირისაგან შემდგარი ბიურო, რომელიც გამოიმუშავებს ყოველდღიური მიტინგების მოწყობის საკითხს ქალაქის განსაზღვრულ ადგილებში. ასეთ მიტინგებზე მოლაპარაკე ორატორების ვინაობა წინდაწინ გამოცხადდება გაზეთებში.

◆ **კავკასიის ჯარის საკულტურო განმანათლებელი დღე** ჯარის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად მოეწყობა კავკასიის ყველა ადგილებში 25 ივნისს. საბჭო ჰფიქრობს, რომ ამ დღეს ყველა თეატრ სინემატოგრაფებში, ცირკებში და სხვა გასართობ ადგილებში შეიძლება მოეწყოს სხვადასხვა გასართობები, რომელთა შემოსავლის ერთი ნაწილი ჯარისკაცთა კულტურულ-განმანათლებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ გადაიდება. ყველა აღმასრულებელ კომიტეტებს, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედროს, საბჭო მოუწოდებს დაეხმარონ მას ამ საქმეში.

◆ **მეხამე სამილიციო უბნის მცხოვრებლების საყურადღებოთ.** მოქალაქენო! ამ უბნის კომისარი აგარონიანი თავის შეუსაბამო მოქმედებისათვის გადაყენებულ იქმნა სხვაგან. მისი მიმდევრები შეგროვდნენ, შეადგინეს ქაღალდი, თხოვენ აგარონიანის დატოვებას და დადიან სახლიდან სახლში—ხელს აწერინებენ მოქალაქეებს. მოქალაქეებს ვთხოვთ ამ ქაღალდზე ხელს ნუ აწერენ. რაც შეეხება აგარონიანის დანაშაულს დაწვრილებით გამოვაქვეყნებთ გაზეთებში.

◆ **ბათუმში პური** 16 ივნისიდან ბარათებით გაიყიდება.

◆ **ნავთლუღის რკინის გზის რაიონული** კომიტეტისაგან მუშათა საბჭომ მიიღო პირველ მაისს წითელი ლიტერატურის სასარგებლოთ შეკრებილი მუშებისა და დარაჯებისაგან 563 მ. 40 კ. მე 9 ნაწ. „რემონტის მუშებისა ხელოსნებისაგან 1140 მ., რკინის გზის მოძრაობის მოსამსახურეთგან 379 მ.

◆ **ვიპოვე საათი და ქამარი ტრამვაიზე.** პატრონს შეუძლია მოიკითხოს ტრამვაის კანტორაში კანდუქტორ მარქაროვთან.

◆ **სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელთა** სახელით პრაპ. გაგლოევისაგან თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მისალმების დეპეშა მიიღო.

კრებები და მიტინგები.

დღეს 16 ივნისს, საღამოს 7 საათზე ქალების პირველ გიმნაზიის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა) მეოთხე რაიონის კოლექტივი რ. ს.-დ. მ. პ. იწვევს საერთო რაიონულ კრებას ამ რაიონის ყველა პარტიულ წევრებისას. დღის წესრიგი: 1) არჩევნები მუდმივი კოლექტივისა და 2) მიმდინარე კითხვები. ამხანაგებს სთხოვენ ნუ დაიგვიანებენ.

—დღეს, საღამოს 6 საათზე, პირველი რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კოლექტივის კრებაა.

— საღამოს 8 საათზე, დეპუტატთა საკრებულოში (ველინსკის ქ. № 2) დანიშნულია დამფუძნებელი კრება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებისა. დასამტკიცებელია საზოგადოების წესდება, განსახილველია საბჭოს მოხსენება და სხვ. ვინც დღეის კრებას დაესწრება იგი ჩაითვლება საზოგადოების დამფუძნებელ წევრად.

პროვინციის ქრონიკა.

დ. ცაგერი (ლეჩხუმის მაზრა). 15 მაისს დ. ცაგერში მოხდა სამაზრო კომიტეტის წევრთა არჩევნები, რომელზედაც ხალხი ბლომათ დაესწრო. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლ. დადეშქელიანი. კრებამ გასტანა სამი დღე. ჩვენი ფედერალისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ კრება ჩაეშალათ, მაგრამ ვერ მოახერხეს და ბოლოს არჩევნები ჩვენდა სასარგებლოთ დამთავრდა. აირჩიეს ყველა ს. დ. რადგანაც ფედ. არჩევნებში თავის კანდიდატები ვერ გაიყვანეს, გაზეთების ფურცლებზე დაიწყეს [illegible] წერა ვითომდა ჩვენ ხალხის მატყუარები უნდა ვიყოთ.

ამას წინათ „სახალხო ფურც.“ ყოფილა მოთავსებული ლ. დადეშქელიანზე წერილი, ვითომც მას ქუთაისიდან ჯარი წამოეყვანოს რაჭა-ლეჩხუმის ასაღებათ. განა სირცხვილი არ არის, ასეთი ინსინუაციების შეთითხვნა და ყოვლად პატიოსან კაცს ასე გალანძღვა? მაგრამ „სახალხო ფურცლისთვის“ ეს ახალი ამბავი არ არის, ოღონდ სოც.-დემოკრატიის ლანძღვა იყოს და ზღაპარსაც სიამოვნებით დაბეჭდავს.

სოფ. წებელდა. ერთ თვეზე მეტი იქნება, რაც აქ საქონლის საშინელი ჭირი მძვინვარებს და ლამის არის ოთხფეხი საქონელი სულ გაწყვიტოს. მივმართეთ სოხუმში ბეითლებს, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. ჩვენთვის არც ბეითალი და არც წამალია. საქონელი იხოცება. ჯერ-ჯერობით ზარალი 100,000 მანეთამდე იქნება.

ს. შემოქმედი (გურია). ამას წინათ აქ შესდგა აგარაკ „ნაფოლცვარის“ კოოპერ. სასადილოს „იმედის“ წევრთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომლის დადგენილებით გამგეობას ევალება მომავალ სეზონისათვის მზადებას შეუდგეს. გამგეობამ უკვე შეიძინა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ქუთაისის განყოფილებისაგან 50 ცალი ფქვილი. ასე რომ წელს „ნაფოლცვარს“ მოაგარაკენი უზრუნველყოფილნი იქნებიან სანოვაგითა და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნებით.

ს. ფამფალეთი (ოზურ. მაზრა). აქ მოწინავე პირების ხელმძღვანელობით განზრახულია სამკითხველოს გახსნა. საქმის სისრულეში მოსაყვანათ არჩეულია 5 კაცისაგან შემდგარი გამგეობა, რომელიც იზრუნებს შენობის და აგრეთვე წიგნებისა და სხვა საჭირო ნივთების შესაძენათ. საჭიროა დახმარება. ყოველგვარი შემოწირულებანი მადლობით მიიღება: ოზურგეთი, მღ. ძოძუ ინწკირველს.

სოფ. გოგოლესუბანი (გურია). ადგილობრივ ს. დ. ორგანიზაციამ დაატყვევა ილაკრი სიმონის ძე სიხარულიძე, რომელსაც ბრალდება ნივთებიანი კალათის ქურდულათ გამოტაცება თფილისის სადგურიდან, სადაც ის მებარგულათ მუშაობდა. კალათის პატრონს შეუძლია გვაცნობოს, თუ რა იმყოფება შიგ შემდეგი მისამართით: დ. ლანჩხუთი, ილია სამსონის ძე ბერძენიშვილი და თავის მისამართიც გაგვაგებინოს, რის შემდეგ კალათს მიიღებს.

რაჭა. ს. ცახში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც მუსრს ავლებს საქონელს. მოვიდა ბეითალი და უცრის საქონელს.

— ცახის საზოგადოება გამოეყო პატარაონისას და აირჩია თავისთვის აღმასრულებელი კომიტეტი. კომისარად დანიშნეს რ. ბერიძე, რომელიც მთელ თავის ძალღონეს ახმარს ხალხის სამსახურს.

— ზოგიერთ სოფლებში გაჩნდა ყვავილი და სხვადასხვა სახადები. ხალხს აცრა უნდა. ამცრელი კი არავინ არის.

— სარაიონო და სამაზრო კომიტეტების არჩევნები დასრულდა. გავიდნენ სასურველი პირები.

ბანძა. (სენაკის მაზრა) 8 ივნისს ბანძის საზოგადოების კომისარმა მ. ქ. კეკელიამ ადგილობრივ მოვაჭრე ებრაელთა შორის აღმოაჩინა რამოდენიმე ცალი ათიმანეთიანი ყალბი ქაღალდის ფული, ებრაელებმა განაცხადეს, რომ ეს ფული მათ შეიძინეს ამას წინათ თფილისიდან ჩამოსულ ებრაელ ფინხასი იოსებიძე აჯიაშვილისაგან. ეს უკანასკნელი დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს. ხმებია, თითქოს ბანძაში დიდძალი ყალბი ფულები იყოს ჩამოტანილი, ამისათვის საზოგადოებას აღებ-მიცემის დროს სიფრთხილე მართებს.

ამიერ კავკასიის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციათა დელეგატების სიეზდი.

(გაგრძელება, იხ. „ერთობა“ № 72).

მიმდინარე მომენტისა და ტაქტიკის შესახებ მოხსენებას აკეთებს ნოე ჟორდანია. მომენტის გამოსარკვევათ,—ამბობს მომხსენებელი,—საჭიროა გამოვიდეთ ორ მთავარ ფაქტორიდან: ომიდან და რევოლუციიდან. თუმცა ომი არ ახასიათებს მარტო დღევანდელ მომენტს, იგი 3 წელიწადია წარმოებს, მაგრამ რევოლუციამ ომის მიმდინარეობასაც სხვა ხასიათი მისცა. ამნაირათ, მომენტის სიმძიმის ცენტრი რევოლუციაშია. რევოლუცია მოახდინა 3 ძალამ: მუშებმა, ჯარმა და ბურჟუაზიის პროგრესიულმა ნაწილმა. მაგრამ ჩვენ მარქსისტები არ ვიქნებოდით, თუ ყოველ მომენტში არ გაუწევდით ანგარიშს ამ ძალთა ურთიერთ განწყობილებას. დღეს რომ ვსთქვათ, ეს განწყობილება არ შეცვლილა, ჩვენ მარქსიზმს გადავუხვევდით. ამ ძალთა დამოკიდებულების შეცვლის მიზეზები რომ გამოვარკვიოთ, საჭიროა ვიცოდეთ რევოლუციის ხასიათი. მარქსი განასხვავებს რევოლუციის ორ ტიპს. 1789 წ. და 1848 წ. რევოლუციის ტიპს. იგი ამბობს, რომ საზოგადოება დაყოფილია კლასებათ, დაბალ საფეხურზე დგას მუშები და გლეხობა, შემდეგ წვრილი ბურჟუაზია, საშუალო, სხვილი ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. სათავეში არის სახელმწიფო მართვა გამგეობა, რომლისაკენ მიისწრაფვის თითოეული კლასი. როცა დაბლა საფეხურზე მდგომი ხალხი მოდის მოძრაობაში, იწყება რევოლუცია. მმართველობასთან მდგომი კლასი ეცემა და მის ადგილს იჭერს მეორე კლასი. ამნაირათ ხალხი თანდათანობით უახლოვდება მმართველობას, მაგრამ სანამ ჩაიგდებდეს მას ხელში, უნდა დაამხოს მის მაღლა მდგომი კლასები. ეს არის რევოლუცია აღმავალი. ამ ტიპის იყო 1789 წლის რევოლუცია. 1848 წელს კი ხალხი ერთი დაკვრით მოექცა მმართველობას სათავეში. ეს,—ამბობს მარქსი,—ქვემავალი რევოლუციაა, რასაც მოჰყვება კონტრრევოლუციაც და ასეც მოხდა. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით რუსეთის რევოლუციას, დავინახავთ შემდეგს: რევოლუციამდე ბურჟუაზია მოითხოვდა პასუხისმგებელ სამინისტროს. თებერვლის ბოლო რიცხვებში ხალხმა მოისპო ყველაფერი, პასუხისმგებელი სამინისტრო და თვით მონარქიაც და მმართველობას იგდებს ხელში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, ე. ი. დაბლა საფეხურზე მდგომი კლასი. ამნაირათ, ჩვენ მივიღებდით 48 წ. ტიპის რევოლუციას, მაგრამ აქ ჩაერია შეკავშირებული დემოკრატია და თუმცა მის ხელში იყო მმართველობა, უარი განაცხადა მის მიღებაზე და ამით მოინდომეს მიეცათ ჩვენი რევოლუციისათვის 89 წ. რევოლუციის ხასიათი. ყველა წინააღმდეგობანი გამომდინარეობენ იმ გარემოებიდან, რომ ფაქტიური ძალა დემოკრატიის ხელშია, ხოლო მართვა-გამგეობა ბურჟუაზიას უჭირავს ხელში. ეს კომპრომისული ხელშეკრულება ორ ძალთა შორის, საჭირო იყო მისი დაცვა, მაგრამ ეს არ მოხდა, ვინაიდან ობიექტიური პირობები მაღლა დგას სუბიექტიურ სურვილებზე. რევოლუციის მიმდინარეობაში თავი წამოყო კლასთა ინტერესების წინააღმდეგობამ. ბურჟუაზიის მიზანი იმპერიალისტურია, მუშათა კლასი კი უარყოფს იმპერიალიზმს და ამ საფუძველზე აღმოცენებული ხელშეკრულება ვერ დაიცვა ბურჟუაზიამ და ჩვენ ვხედავთ 18 აპრილს ხელშეკრულების დარღვევისაკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მ. და ჯ. დეპუტატების საბჭომაც ვერ შეასრულა ხელშეკრულება, პირველათ ყველა მიყვებოდა მას, დღეს კი ბევრი არ უწევს ანგარიშს და დამოუკიდებლათ აწყობს დემონსტრაციებს. 18 აპ. კონფლიქტში ჩარევამ აიძულა მილიუკოვი და გუჩკოვი დაეტოვებინათ სამინისტრო. მაგრამ გამოირკვა, რომ ბურჟუაზია ისე შეშინდა და განაცხადა თუ საბჭოს წარმომადგენლები არ შემოვლენ სამინისტროში, ჩვენ ხელს ვიღებთ მართვა-გამგეობაზეო. ამაში ბურჟუაზიამ პირველათ დაარწმუნა ტრუდოვიკები, ამ უკანასკნელებმა

განაცხადეს თანხმობა თუ ს.-რევოლიუციონერებიც გაყოლოდათ, ს.-რ—ებმა კი განაცხადეს, თუ ს.-დემოკრატები წამოვლენ, ჩვენც შევალთ სამინისტროშიო და ასე ამნაირათ ყველა გაემგზავრა სამინისტროსაკენ. აქ უარყოფილ იქნა მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს ტაქტიკა, რომელმაც ხელი აიღო მართვა-გამგეობაზე და დააყენა იგი თავის კონტროლის ქვეშ. მაგრამ მდგომარეობა სრულებითაც არ მოითხოვდა ტაქტიკის შეცვლას, ბურჟუაზიას არ შეეძლო მიეტოვებია მმართველობა, ვინაიდან იგი, როგორც მქონებელი კლასი, ყველაზე მეტათ არის დაინტერესებული არ მოხდეს ანარქია. ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი კლასს რომ თავის ნებით აეღო ხელი მართვა გამგეობაზე და თუ ამას ჩაიდენდა ჩვენი ბურჟუაზია, იგი სამუდამოთ გაკოტრებულათ და დასამარებულათ გამოაცხადებდა თავის თავს. მაშინ შეეძლო დემოკრატიას აეღო ხელში მმართველობა და საზოგადოებაც დაუჭერდა მას მხარს, ვინაიდან ისტორიამ არ იცის ცარიელი ადგილი. თფილისის მ. და ჯ. დეპუტატების საბჭომ იმ თავითვე დაადგინა არ გამოეცვალათ ტაქტიკა, თუ მილიუკოვი და გუჩკოვი გადადგებოდენ, მათ ადგილს სხვები დაიჭერდა, მაგ. საშვალო ან წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ასე რომ მომხდარიყო, ახლა სულ სხვა მდგომარეობა იქნებოდა. სამინისტროში ჩვენი ამხანაგების შესვლის შემდეგ გაძლიერდა მიმდინარეობა. ყველა უკმაყოფილო ჯგუფებისა, რომლებიც გამოდიოდენ პეტროგრადის ქუჩებში 18, 19 აპრილში და ამით ზურგიდან ესხმოდენ ჩვენს ამხანაგებს, აქედან იწყება ახალი ხანა რევოლიუციისა. მარჯვნით რევოლიუციას შორდება ბურჟუაზიის ერთი ნაწილი, რომელიც თითქმის რევოლიუციასაც თხოულობდა, და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ამხანაგებს, სამინისტროში რომ შევიდენ, არ შეეძლოთ განესაზღვრათ თავის მოქმედება პოლიტიკური საკითხებით, მაშინ მუშათა კლასი არ იქნებოდა კმაყოფილი, ხოლო სოციალური საკითხების წამოყენება უკმაყოფილებას იწვევს ბურჟუაზიაში. ამ ორ წინააღმდეგობათა შეკავშირება-შეთანხმება დიდი ტაქტიკური საქმეა. დღეს წამოყენებულია დილემა „ან", „ან"; რევოლიუცია კრიზისს განიცდის 89 წლის რევოლიუციაში არ იყო ეს, იქ ობიექტიური გზით მიდიოდა მმართველობის ერთის ხელიდან მეორისაში გადასვლა. ჯვარედინზე ვდგევართ, რევოლიუცია არ არის არც 89 წ. არც 48 წ. ტიპისა. რამდენადაც მ. და ჯ. დეპ. საბჭო ცდილობს ძალთა გაერთიანებას, იგი აძლევს ჩვენს რევოლიუციას 89 წლის რევოლიუციის ხასიათს. მაგრამ არი მიმართულება, რომელიც არ სცნობს ძალთა გაერთიანებას, იგი 48 წ. რევოლიუციის ტიპისაკენ მიგვაქანებს...

თანამედროვე მომენტი ასე ხასიათდება. მარჯვნით მიდის ბურჟუაზია, მარცხნით მუშათა კლასის ნაწილი. რევოლიუციის პატრონობა და ხსნა ეკისრება იმას, ვინც მომხრეა გაერთიანებისა და რამდენადაც ძლიერდება მარცხენა ფრთა, იმდენათ ბურჟუაზია სცილდება რევოლიუციას, ეს კი საშიშია, ვინაიდან მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ძალა და მტრის უკან მოქცევა არ არის მიზან შეწონილი. ეს საფუძველია კონტრ-რევოლიუციისა, ეს წარმოშობს სამოქალაქო ომს, რომელიც არ იქნებოდა საშიში მხოლოდ მაშინ, როცა მუშათა კლასი გაერთიანებული გამოვიდოდა. 10 ივნისს, რომ ჩვენი ამხანაგები არ შეთანხმებულიყვენ, დაიწყებოდა კონტრ-რევოლიუცია. ყველა ძალთა გაერთიანება და ერთ კალაპოტში ჩაყენება და ამით რევოლიუციის ხსნა—აი რაში მდგომარეობს დღეს ჩვენი პარტიის მოწოდება.

სანამ კამათი გაიხსნებოდა, სიეზდმა თანაგრძნობა გამოუცხადა ამხ. მიშა არსენიძეს ავათმყოფობის გამო და უსურვა მალე განკურნება.

ამხ. არ. ზურაბოვი. ომი და რევოლიუცია ეს ძირითადი ფაქტორებია და თუ მომენტის სიმძიმის ცენტრი რევოლიუციაშია, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ომსაც. ომმა გამოიწვია რევოლიუცია და მაზე არის დამოკიდებული რევოლიუციის ბოლოც, ამიტომ მე არ მინდა რომელიმე ერთ მათგანს უპირატესობა მივსცე. საჭიროა ძალთა გაერთიანება, რომ რევოლიუცია არ დამარცხდეს, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? რევოლიუციის მიმდინარეობაში თავი იჩინა კლასთა წინააღმდეგობამ. როგორ უნდა დავაკმაყოფილოთ ყველა? პროლეტარიატის პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული ევროპაში რევოლიუციის გამოწვევისკენ. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაბოლოვდება ომი. რამდენათ მალე მოეღება მას ბოლო, იმდენათ დაჩქარებით გაჩნდება ევროპის რევოლიუცია. აი, სწორედ ეს აქვთ მხედველობაში იმათ, ვინც მოითხოვს რაც შეიძლება მალე საპატიო ზავის ჩამოგდებას. ამისთვისაა ბურჟუაზია რომ ცდილობს ომის გახანგრძლივებას, მას არ უნდა სხვას დაუთმოს მმართველობა, ჩვენი ტაქტიკა უნდა იყოს საერთო ევროპიული. ამას არ აქცევენ ყურადღებას ჩვენი ამხანაგები მინისტრები და დროებითი მთავრობასთან ერთად სდგამენ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ამხედრებენ ევროპის დემოკრატიას ჩვენ წინააღმდეგ. ასეთი ნაბიჯია მაგალითად რ. გრიმმის გაძევება, რომელიც ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ არ დაერღვიათ სამინისტროს მთლიანობა".

ამხ. ნ. იმნაიშვილი. მეუმცირესთა თვალსაზრისით რევოლიუცია 3 მთავარმა ძალამ მოახდინა, მაგრამ ეს დებულება მართალი იყო რევოლიუციის პირველ დღეებში. ეხლა მდგომარეობა შეცვლილი, უნდა შეიცვალოს ჩვენი ტაქტიკაც. ჩვენ ვებრძვით იმპერიალიზმს. მივისწრაფით დემოკრატიის გაერთიანებისაკენ, რამაც წარმოშვა საკითხი კოალიციურ სამინისტროზე. ბურჟუაზიას არ შეეძლო აეღო ხელი იმპერიალიზმზე, ამისთვის საჭირო იყო სამინისტროში შესვლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლათ. რევოლიუციის განვითარებამ შექმნა მდგომარეობა, როცა შესაძლებელი გახდა სამინისტროში შესვლა.

შემცდარნი არიან როგორც სამინისტროში შესვლის წინააღმდეგნი, ისე მმართველობის სავსებით ხელში ჩაგდების მომხრენი, ვინაიდან პირველნი უკან რჩებიან მომხდარ ამბებს, მეორენი კი წინ უსწრებენ. ორატორი მოითხოვს სიეზდმა გამოიტანოს ისეთი დადგენილება, როგორიც გამოიტანა ამ საკითხზე მ. ჯ. დეპ. საბჭომ.

ამხ. მგელაძე. საჭირო იყო სამინისტროში შესვლა, ვინაიდან ბურჟუაზიამ დაჰკარგა ნდობა ხალხის თვალში. გვეტყვიან, ამით პასუხისმგებლობას ვკისრულობთო, მაგრამ მ. ჯ. დეპუტატების საბჭოც ხომ უკვე პასუხისმგებელია თვით მთავრობის მოქმედებაზეაც. სანამ ბურჟუაზია სავსებით არ ჩამოგვშორებია, საჭიროა სამინისტროში მონაწილეობის მიღება, ჩვენი არჩეული ამხანაგებისათვის ჩვენს გადაწყვეტილებას დიდი მორალური მნიშვნელობა ექნება. უნდა შევუერთდეთ პეტ. მ. და ჯ. დეპ. საბჭოს რეზოლიუციას. ორატორი მომხრეა პარტიის გაერთიანების.

ამხ. მ. ხუნდაძე. კარგია, როცა სათავეში გვიდგას ზომიერი ადამიანი, ეს ყოველ შემთხვევაში უზრუნველ ჰყოფს გამარჯვებას, მაგრამ ახალგაზრდობაც არ უნდა გავყვეთ ამ გზას. რევოლიუცია მოხდა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, დღეს მან წამოაყენა ომის ლიკვიდაციის საკითხი და ამ საკითხში კი ჩვენ ვერ გავყვებით ბურჟუაზიას, რომელიც საფრანგეთის ბაზარზე სესხის აღების შემდეგ დამოკიდებულია ევროპის ბურჟუაზიაზე. ბონარ-ლოუ და რიბო ესალმებიან არა რევოლიუციას, არამედ ნიკოლოზს. იაპონიის ოფიციალური გაზეთი სწერს, რომ შეტევაზე ხელის აღება სეპარატიული ზავის მომასწავებელიაო. აი როგორის კილოთი ლაპარაკობენ ჩვენი „მოკავშირეები". შეტევა დღევანდელ პირობებში შეუძლებელი და სისულელეა და არ არის მართალი კერენსკი, როცა ამას მოითხოვს. ჩვენ რომ სუსტათ გვთვლიდეს ბურჟუაზია, იგი თავის ლოზუნგებს წამოაყენებდა. კოალიციონური სამინისტრო ერთად ერთი გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან.

ამხ. ცერცვაძე. საჭიროა ანგარიში გაუწიოთ ისტორიას. ომის დროს მოხდა რევოლიუცია და ისიც რუსეთში, რომელიც აღრჩობდა ყველა რევოლიუციებს. დღეს მეფეების ეპიდემია მძვინვარებს, 10 მეფე უკვე ზის უსაქმოთ. რას აკეთებდენ კულტურული ქვეყნები? ინგლისს ინდოეთში შეჰქონდა „კულტურა", რუსეთს—სპარსეთში და ჩინეთში და სხ. ჩვენ ვღებულობდით დასავლეთ ევროპიდან იდეიურ სიმდიდრეს, დღეს დავუბრუნებთ ვალს პროცენტებით: გადავჭრით ისეთ საკითხებს, რომლებიც ევროპაში ჯერ არ გადაუჭრიათ. მ. და ჯ. საბჭომ სწორი ტაქტიკა გამოიმუშავა. ნიკოლოზიც ამბობდა ერთა თვითგამორკვევის მომხრე ვარო, მაგრამ ვილსონმა შენიშნა, ეს მაშინ მოხდება, როცა თქვენ არ იქნებით რუსეთშიო. საჭიროებამ აიძულა ჩვენი ამხანაგები შესულიყვენ სამინისტროშიო.

ამხ. დჟალალბეკოვი. ომი—დანაშაულია, მას იწვევს თვით ხალხი, როგორც იტყოდა ლ. ტოლსტოი. იგი დაიწყეს იმპერიალისტებმა, ჩვენ უნდა ვეცადოთ მის შეჩერებას.

ამხ. კუდრიაშინი. ჩვენი ტაქტიკა უნდა იყოს მიზან შეწონილი, მაგრამ ამასთანავე ენერგიულიც. მარჯვენა ფრთის ტაქტიკა არ არის ენერგიული, იგი ვერ გამოხატავს პროლეტარიატისა და გლეხების სულის კვეთებას. ძალზე ზომიერი ტაქტიკის წარმოებით ჩვენ ჩამოვიშორებთ პროლეტარიატს, ჯარს და გლეხობას. საჭიროა ბრძოლა ომის ლიკვიდაციისთვის.

ამხ. კალანდარიშვილი ამბობს, რომ დღევანდელი სულიერი განწყობილება მიმართულია მთავრობისათვის მხარის დაჭერისაკენო და მოითხოვს მ. და ჯ. დეპ. საბჭოს რეზოლიუციას შეუერთდეთო.

ამხ. ხაღაყაია. აქ ამტკიცებენ, რომ კოალიციონური სამინისტრო შესდგა ომის ლიკვიდაციის მოსახდენათ, მაგრამ ამ მხრით ჯერაც არაფერი არ გაკეთებულა, ხელშეკრულებების გამოქვეყნებაც კი ვერ მოახერხეს. წინააღმდეგ, მთავრობამ გადადგა ისეთი ნაბიჯი, როგორიც არის დეპ. რ. გრიმის გაძევება და თქვენ მალე გაიგებთ თუ როგორ გაახარებს ეს ევროპის ბურჟუაზიას. არავითარი ახალი იდეები ამხანაგებს არ შეუტანიათ სამინისტროში. ჩვენ კი არ უნდა ვიდგეთ მ. და ჯ. დეპ. საბჭოს თვალსაზრისზე, რამდენათ იგი არ ეთანხმება ჩვენს შეხედულებას, არამედ უნდა ვაწარმოოთ დამოუკიდებელი პოლიტიკა, უნდა გამოვიწვიოთ უკან ამხანაგები, თუ გვინდა მეტი ნდობა დავიმსახუროთ საერთაშორისო დემოკრატიის მხრით.

ამხ. გეპშტეინი. იყო ობიექტიური პირობები, რომლებმაც აიძულეს ამხანაგები შესულიყვენ სამინისტროში. მომხსენებლის სხემა მაშინ იქნებოდა მისაღები, რომ ჩვენ ვსხდეთ კაბინეტში და რევოლიუციის მოსახდენ დეკრეტებს ვთხზავდეთ, მთავარი შეკავშირებული ძალა დღეს სოციალისტური ელემენტებია, აქედან წარმოიშვა წინააღმდეგობა, პროლეტარიატის ეკონომიურ მდგომარეობისა და პოლიტიკურ როლის შორის. მართალია, ბურჟუაზია იხრება მარჯვნით, მაგრამ სამინისტროში მისი წარმომადგენლები მარცხნით იხრებიან. ცხადია, ჩვენ კი არ ვუთმობთ ბურჟუაზიას, არამედ ის გადმოდის ჩვენსკენ. უნდა შევუერთდეთ მ. და ჯ. დეპ. საბჭოთა სიეზდის დადგენილებას, მხარი უნდა დავუჭიროთ მთავრობას.

ამხ. ნოე ჟორდანია საპასუხო სიტყვაში მწუხარებას გამოსთქვამს, რომ კამათმა არ მიიღო ის ხასიათი, რომელსაც მე მოველოდიო, მთავარ კითხვას გვერდი აუხვიეს და მთელი ყურადღება წვრიმალ კითხვებზე შეაჩერეს. მე გამოვდიოდი იმ მთავარ მოვლენიდან, რომ დღეს ხდება რევოლიუციონურ ძალთა დაქსაქსვა და მოსალოდნელია სამოქალაქო ომი. თუ ჩვენ გავყვებით ძალთა დაქსაქსვის გზას, რევოლიუცია დაიღუპება. აი მთავარი საკითხი, კოალიციონური სამინისტრო კი აქედან გამომდინარე კერძო საკითხია. ამხ. ზურაბოვი დიდი პესიმისტი აღმოჩნდა რუსეთის შესახებ, ხოლო ოპტიმისტი ევროპის შესახებ. მე კი მგონია, რომ ჩვენ უნდა ველოდეთ ხსნას საკუთარ ძალებისაგან, აქედან უნდა გადავიდეს რევოლიუცია ევროპაში და თუ ჩვენი რევოლიუცია დამარცხდა, მაშინ ევროპას რევოლიუციის მაგივრათ რეაქციას მივცემთ, ისევ „ევროპის ჟანდარმის" როლში გამოვა რუსეთი, აი სად უნდა გეძებნეთ მთავარ ახსნას, ცხადია რევოლიუცია მთავარი ფაქტორია დღევანდელი მომენტისა. ამხ. იმნაიშვილი ამბობს, რომ სამინისტროში შესვლა აუცილებელი იყო, მაგრამ ნდობა მაინც პირობითი უნდა გამოუცხადოთ მთავრობასო. რა განსხვავებაა მაშინ წმინდა ბურჟუაზიულ და კოალიციონურ სამინისტროთა შორის? მე მომხრე ვარ პირობითი ნდობის, მაგრამ იმნაიშვილისათვის ეს ულოღიკობა და წინააღმდეგობაა, რევ. ძალთა დაქსაქსვა კოალიციონურ სამინისტროს შედგენის შემდეგაც ხდება, მაშასადამე ჩვენი ამხანაგების სამისტროში შესვლა შეცდომაა, მაგრამ არ შეიძლება მეორე შეცდომის დაშვება, სრული ნდობის გამოცხადება. აქ მოგვიწოდებენ მ. და ჯ. დეპ. საბჭოს დადგენილებებს შევუერთდეთ. ჩვენ პოლიტიკური პარტია ვართ, გვაქვს საკუთარი დროშა, საკუთარი ტაქტიკა, ჩვენ უნდა გვქონდეს საკუთარი შეხედულებაც და არ უნდა მივჩანჩალებდეთ უკან უპარტიო საბჭოებს, იქ არიან ს.-რ. ტრუდოვიკები და თქვენ გინდათ ამ კონგლომერატს დავემორჩილოთ, მე ეს სრულებით არ მესმის. ჩვენ იმისთვის ვმუშაობთ საბჭოებში, რომ ჩვენი შეხედულება შევიტანოთ შიგ. ჩვენ ვერ შევუერთდებით მ. და ჯ. დეპ. საბჭოს რეზოლიუციას, ვინაიდან იქ არ არის მომენტის ანალიზი, რომელსაც ჩვენ ჩვენს რეზოლიუციაში აღვნიშნავთ, მე ის კი არ მითქვამს, რომ რევოლიუცია 89 წლის სხემით ხდებათქო, მე ის ვთქვი მხოლოდ, რომ რევოლიუციონური ორგანოები ცდილობენ მისცენ ჩვენს რევოლიუციას 89 წ. რევოლიუციის ხასიათი, და ეს ასე რომ არ იყოს, ჩვენ რომ ისტორიული მაგალითები არ ვიცოდეთ და გამოცდილება არ გვქონდეს, რევოლიუცია ამდენხანს ანარქიათ იქცეოდა. სამინისტროში შესვლა უნდა მოხდეს თავის დროზე. უდროოთ გადადგმული ნაბიჯი შლის, ღუპავს რევოლიუციას. საქმეც იმაში, რომ ბურჟუაზიას უნდა ჩვენი პრესტიჟი დასცეს და ამისთვის გვიწვევს თავის სამინტროში. სულ სხვა იქნებოდა ამას ხალხი რომ მოითხოვდეს. დანტონი შევიდა სამინისტროში რევოლიუციის ახალ ხანაში ახალი იდეებით. ჩვენში ეს ასე არის. თუ გეპშტეინს დავუჯერებთ ნამდვილი ზღაპრული ბურჟუაზია გვყოლია ჩვენ. ის ამბობს თუმცა ბურჟუაზია რუსეთში იხრება მარჯვნით, სამაგიეროთ მისი წარმომადგენლები სამინისტროში მარცხნით იხრებიანო, მერე რა, რვა კაცი წარმოადგენს ბურჟუაზიას და მას უნდა დავეყრდნოთ ჩვენ? ამხ. მგელაძე ამბობს რადგანაც რევოლიუციის პასუხისმგებლობა უკვე ვკისრეთ, არ არის საჭირო სამინისტროში შესვლის გვეშინოდესო. ჩვენ ომიანობით გამოწვეულ განადგურებისა და არევ-დარევის პასუხისმგებლობა არ გვინდა ვკისროთ და არა რევოლიუციის. მეორე შეცდომა იქნება ამხანაგებზე რომ ხელი აგვეღო ან უკან გამოგვეწვია ისინი. ერთათ ერთი ხსნა დამფუძნებელ კრების მოწვევაშია, როცა ჩვეულებრივათ ძველი მინისტრები გადიან და დგება ახალი სამინისტრო. თუ ჩვენ გვექნა, ძალა დამფუძნებელ კრებაზე, მაშინ შესაძლებელია შევიდეთ სამინისტროში, ვინაიდან ხალხზე ვიქნებით დაყრდნობილი. მანამდი კი კოალიციურ სამინსტროს უნდა გამოუცხადოთ პირობითი ნდობა.

რეზოლიუცია წაკითხულ იქნება შემდეგ.

ვენე ალათიშვილი.

რა გამოირკვა?

(მცირე შენიშვნა).

კვირას 11 ივნისს, ჩვენი პარტიის პირველ თავისუფალ საოლქო ყრილობაზე კრებამ მოისმინა საოლქო კომიტეტის მოღვაწეობის სრული ანგარიში. ამ მოხსენებიდან ბევრი რამ გამოირკვა, ბევრი რამ გამოაშკარავდა. მოხსენებას მოყვა ოვაცია საოლქო კომიტეტის და რედაქციის წევრთა პატივსაცემლათ, რაც უსათუოთ ყველა პარტიის წევრთ ეკუთვნის, იმ პარტიის წევრთ, ვინც შავბნელ რეაქციის დროს არ უშინდებოდა არავითარ ძალას, არც რეაქციის აგენტებს და არც საკუთარ ინტრიგანებს, ვინც გაჭირვების დროს არ მიატოვა პარტია, არ გააქრო ღვთიური ცეცხლი ღვთიურ კერაზე, არ გააგდო ხელიდან წმინდა დროშა.

მაგრამ მე ჩემ მცირე შენიშვნაში მოხსენების ერთი მხარე, საოლქო კომიტეტის ერთი დაწესებულების ანგარიში მაინტერესებს. ესაა ჩვენი რედაქციის ანგარიში.

ვის არ ახსოვს, თუ რა უტიფარ ჭორებს ავრცელებდენ ინტრიგანები ამ დაწესებულების შესახებ. ვინ არ იცის, თუ როგორ სარგებლობდენ ეს ვაჟბატონები იმ მდგომარეობით, რომ რეაქციის გამო საოლქო კომიტეტს არ შეეძლო გამოეაშკარავებია ხოლმე საქმის მდგომარეობა. ინტრიგანები მთელ საქართველოს ჩიოდენ და ყველგან ამტკიცებდენ, რომ რედაქციის გარშემო ბოროტ მოქმედებაა, რომ შემოსულ ფონდს სისტემატიურათ ფლანგავენო და სხ. დღეს კი გამოირკვა, რომ არამც თუ 21764 მ. 21 კაპ., ორი წლის განმავლობაში, ფონდათ შემოსული ხელუხლებელ თანხას წარმოადგენს ფულის და ქაღალდის სახით, არამედ გაზეთის საკუთარი შემოსავლიდანაც 10695 მ. და 67 კ.პ. მოგების სახით დარჩენია! ჩქარა ეს ანგარიშები, სარევიზიო კომისიის დამტკიცების შემდეგ, დაწვრილებით დაიბეჭდება ჩვენ გაზეთში და იქ გაიგებს ყველა სინამდვილეს, მე აქ ყურადღებას მივაქცევ ამ ციფრებს: თერთმეტი ათას მანეთამდი მოგება!

რედაქციის კანტორის გამგემ, ამხ. ვ. წულაძემ ეს მოვლენა ასე ახსნა: „მოგებაც რედაქციისა ისე, როგორც თვით გაზეთის არსებობა, გამოწვეულია ფონდის სახით დაგროვებულ თანხის წყალობით. გაზეთის არსებობა შეუძლებელი იყო, თუ არ გვქონოდა ფული ქაღალდის პარტიობით, ვაგონობით საყიდლათ, ვინაიდან ყოველ დღიურათ ყიდვა ქაღალდისა შეუძლებელი იყო, ქაღალდს იტაცებდენ. ამ ვაგონობით ყიდვას კი თანა სდევდა მეორე სარგებლობა: ერთათ ნაყიდი ქაღალდის ფასი უფრო შეღავათიანი იყო მაშინვე, ყიდვის დროსაც, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ქაღალდი კიდევ უფრო ძვირდებოდა, ჩვენ ხელთ გვრჩებოდა შედარებით იაფათ ნაყიდი და ასე მოგებაში ვრჩებოდით"-ო. ეს სრული ჭეშმარიტებაა იმ მხრით, რომ გაზეთი მეტ შემოსავალს იძლეოდა ფონდის წყალობით, პარტიობით ნაყიდ ქაღალდის წყალობით, მაგრამ მოგება მაინც არ შედგარა აქედან: **ეს მოგება არის მხოლოდ და მხოლოდ გაზეთის გარშემო მომუშავეთა ნახევრათ მშიერი ცხოვრების შედეგი.**

მაშინ, როცა ბურჟუაზიულ გაზეთების რედაქტორები და „პუბლიცისტები" რამდენიმე ას მანეთს იღებდენ თვეში, ჩვენ რედაქტორებს ხუთი ან ექვსი თუმანი ეძლეოდათ. თვით ზღაპრულ სიძვირის დროს ჩვენი რედაქტორების ჯამაგირები მხოლოდ უკანასკნელ დროს ასცილდა ას მანეთს. ასევე მათხოვრის კერძს იღებდენ წვრილი მომუშავენიც: კანტორის გამგეები იღებდენ ჯერ ხუთ თუმანს (1915 წელს) და ახლოდ ბოლო დროს მოიმატეთ, კანტორის მოსამსახურენი კი 20—30-მდე ღებულობდენ. მერე მუშაობა? ყველა ჩვენი მომუშავენი, როგორც იდეიური აგრეთვე ტეხნიკური, მუშაობდა იმდენს, რისთვისაც სხვაგან ორი კაცი იყო დაქირავებული. და აი მოგებაც! აი საიდან დაგროვდა მოგების სახით 10 695 მან. და 67 კაპ; აი საიდან დარჩა დაუხარჯავი 21,764 მან. და 21 კაპ. ფონდის სახით შემოსული; აი საიდან აქვს დღეს ჩვენს გაზეთს ქაღალდისა (11,170 მ.—50 კ.), ნაღდი ფულისა (20,386 მ.—05 კ) და სხვა სახით 32,459 მან. და 88 კაპ. თანხა. ჭეშმარიტათ დიდია მსხვერპლი ამ ხალხისა პარტიის სასარგებლოთ, მაგრამ დიდია ის კმაყოფილებაც, რასაც ისინი განიცდიან, როცა ხედავენ ჩვენი პარტიის სიძლიერეს, როცა იგონებენ მის ბრწყინვალე გამარჯვებებს წარსულსა და აწმყოში...

ნეტავ რას განიცდიან ჩვენი ინტრიგანები? ნეტავ რას გრძნობენ, როცა მათგან ჯვარცმული ხალხი ხარობს თავის სიმართლით, თავის შრომით, თავის თავდადებით? რას გრძნობენ, როცა ამ ხალხს მადლიერი პარტია ტაშს უკრავს, სამართლიან ოვაციებს უმართავს?

ერთი ცხადია: მათი მდგომარეობა ძალზე უხერხულია. მათ ადგილზე მე, გავიქცეოდი საზიზღო ადგილებიდან, ვერ გავუძლებდი მეყურებია ჩემი თვალით.

ზ. დათიაშვილი.

პოლკოვნიკი ზაკუსოვის გარშემო.

ამ რამდენიმე ხნის წინ ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ქ. ხონში დატუსაღებულ იქნა ოზურგეთის მაზრის ყოფილი უფროსი პოლკოვნიკი ზაკუსოვი. ხონიდან ის ჩამოიყვანეს ქ. თფილისში, საიდგანაც უნდა გამოეგზავნათ ოზურგეთში თანახმად ოზურგეთის კომიტეტის მოთხოვნისა. მაგრამ ნაცვლად ოზურგეთში გამოგზავნისა პოლკოვნიკი ზაკუსოვი ციხიდან გაანთავისუფლა კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან არსებულ საგამომძიებლო კომისიამ, რომელმაც არა თუ არ მოსთხოვა განმარტება—ოზურგეთის კომიტეტს თუ რაში სდებდა ის ბრალს ბ-ნ ზაკუსოვს და რა საბუთები ჰქონდა მას ამ ბრალდებების დასამტკიცებლად, არამედ ერთხელაც არ უპასუხა იმ მრავალ შეკითხვებზე, რომლითაც კომიტეტი საგამომძიებლო კომისიას მიმართავდა ზაკუსოვის ოზურგეთში გამოგზავნის შესახებ.—გურულების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, [illegible] გაიგეს, რომ რეაქციის ბურჯი [illegible] ცნობილი ჯალათი, რომელსაც მთელი 6 წლის განმავლობაში მკაცრ რეაქციონურ მუხრუჭში ყავდა ჩამწყვდეული მთელი გურია, რომელიც მან თავისი ალვირ-ახსნილი აგენტების დახმარებით სავსებით გაანადგურა,—თფილისში თავისუფლათ დასეირნობდა და ადრე ფრონტზეც მიემგზავრებოდა. (საგამომძიებლო კომისიამ ნება დართო წასულიყო ფრონტზე, მისცა მოწმობა № 649,—8 მაისი 1917 წ.) სამაზრო კომისარიატმა მრავალჯერ სთხოვა თფილისის სხვადასხვა სარევოლიუციო დაწესებულებათ, სხვათა შორის საგამომძიებლო კომისიასაც—რომ დაეტუსაღებინათ ზაკუსოვი და ოზურგეთისათვის გადაეცა, მაგრამ ყველამ სიჩუმით უპასუხა.—ბოლოს ოზურგეთის მაზრის კომისარიატის წევრმა მიხ. საბაშვილმა 31 მაისს ღამით დაატყვევა თფილისში ბ-ნი ზაკუსოვი და გურიაში წაიყვანა.

ამან, როგორც ეტყობა, დიდი აურზაური გამოიწვია სფეროებში—მთელი კვირის განმავლობაში დეპეშები დეპეშებზე მოსდიოდა ოზურგეთის კომიტეტს ზაკუსოვი გაანთავისუფლეთო. ბოლოს აქ ჩამოვიდა კავკასიის ჯარის ცენტრის წევრი ანდრეევი, რომელმაც დაჟინებით მოითხოვა ზაკუსოვის განთავისუფლება. არც დეპეშების ავტორნი და არც ანდრეევი, რომელსაც ჰქონდა რწმუნება, როგორც ჯარის ცენტრიდან, ისე საგამომძიებლო კომისიიდგან, არ ჰკითხულობდენ იმას, თუ რა ბრალდებები და საბუთები აქვს ოზურგეთის კომიტეტს მის წინააღმდეგ, არამედ მოითხოვდენ მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. ასეთივე მოთხოვნილებით მიმართა კომიტეტს ოზურგეთის გარნიზონის კომიტეტმა. პარასკევს, 8 ივნისს შესდგა ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის საგანგებო სხდომა, რომელსაც დაესწრენ ადგილობრივი ჯარის წარმომადგენლები და აგრეთვე ჯარის ცენტრისა საგამომძიებლო კომისიისა და თფილისის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებულიც. ჯარისკაცთა წარმომადგენლებმა გაიმეორეს თავიანთი მოთხოვნილება, რაზედაც კომიტეტმა დიდი ხნის მსჯელობის შემდეგ უარით უპასუხა. კომიტეტმა დაადგინა: რადგანაც ზაკუსოვმა ოზურგეთის მაზრის უფროსათ ყოფნის დროს ჩაიდინა მრავალი დანაშაული ოზურგეთის მაზრაში, რაც აქვე უნდა იქნას გამოძიებული, ამიტომ მისი აქ ჯდომა ციხეში აუცილებელია საქმის გამოძიების დასაჩქარებლად.—ამ დადგენილებამ არ დააკმაყოფილა არც დელეგატები და არც ადგილობრივი გარნიზონი, რომელიც ზოგიერთი ბნელი პიროვნების წყალობით კინაღამ ამხედრდა აღმასრულებელი კომიტეტის წინააღმდეგ. მაგრამ მდგომარეობა ადრე გამოირკვა. ოზურგეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის დეპუტაციის პირადი შუამდგომლობის თანახმად კავკასიის განსაკუთრებულ კომისარიატთან არსებულ სამხედრო საგამომძიებლო კომისიამ განკარგულება მოახდინა, რომ ზაკუსოვი დარჩეს ოზურგეთის ციხეში და საქმე გამოძიებული იქნას ადგილობრივათ საგამომძიებლო კომისიის რწმუნებულების მიერ, რაც უკვე სწარმოებს. ბ-ნ ზაკუსოვს სხვა მრავალ დანაშაულობათა შორის ბრალად ედება გადაჭარბებული დაცვა ძველი რეჟიმის მთავრობისა, რისთვისაც ის მიმართავდა უსასტიკეს რეპრესიულ ზომებს როგორც განმანთავისუფლებელი მოძრაობის და სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა, ისე საერთოთ მთელი ხალხის წინააღმდეგ. მან ამ მიზნით გაიჩინა მრავალი აგენტი, რომელთა საშვალებით ის მთელი 6 წლის (1908—1913 წ.წ.) განმავლობაში არბევდა გურიას. მან შემოიღო გურიაში დაქირავებულ (მთავრობის) მამასახლისთა შტატი 6 დარაჯით, რომელთა შენახვა რამდენიმე ასი ათასი მანეთი უჯდებოდა ხალხს. მანვე შემოიღო ე. წ. სადარაჯოები ყოველ სოფელში, სადაც მორიგეობით უნდა ედარაჯა ხალხს, რომ ყაჩაღები დაეჭირათ. თვითონ კი ხელს უწყობდა ავაზაკობას გურიაში, ამრავლებდა ყაჩაღებს და ხალხს ექზეკუციით არბევდა და ჯარიმებს ახდევინებდა ვითომდა ყაჩაღების შენახვისათვის. ზაკუსოვი სასტიკათ სდევნიდა პოლიტიკურებს და პროვოკაციას ეწეოდა პარტიის წინააღმდეგ. როგორც საქმეებიდან აღმოჩნდა 1908 წ. 5—6 თვის განმავლობაში მას დაუჭერია და გადაუსახლებია (ზოგიერთი) პოლიტიკურ ნიადაგზე 156 კაცი, 1909 წელში—93, (1910 წ. საქმეები დაკარგულია) 1911 წელს—84, 1912 წ.—73 და 1913 წ.—20. მრავალია კიდევ მის მიერ დასჯილნი, მაგრამ საქმეები დაკარგულია მათ შესახებ. ამგვარათ ბ-ნი ზაკუსოვი მთელი წლეების განმავლობაში ებრძოდა საზოგადოებრივ აზრს, ხელს უშლიდა ყოველგვარ საზოგადო საქმეს, ეწინააღმდეგებოდა და თავისიც გაქონდა სკოლების გახსნას, ხელი შეუშალა საშვალო სასწავლებლის დაარსებას ოზურგეთში, ებრძოდა ოზურგეთის თვითმართველობას და სხვა მრავალი. კონკრეტიული ბრალდებები მრავალია მის წინააღმდეგ. ყველა ეს პოლიტიკური ხასიათისაა, სისხლის სამართლის დანაშაულობებს კი ჩვენ აქ არ შევეხებით, რადგან ეს დაგროვილია ბ-ნ მახარაძის საჩივარში, რომლის გამო ბ-ნ ზაკუსოვი სამართალშია მიცემული ჯერ კიდევ ძველი მთავრობის მიერ.

აი ასეთ პიროვნებებს იცავენ ზოგიერთები და მოითხოვენ მის განთავისუფლებას, რაც ძლიერ სამწუხაროა.

ხუხეინ.

ალექსანდრეს ბაღში.

მე რომ მივედი მიტინგი დაწყებული იყო: ის იყო ორატორი სიტყვას ათავებდა. უკანასკნელი მისი სიტყვები იყო: სახელგანთქმული წერეთელი ჩერნოვი, კერენსკი.

ჯარის კაცებში უკმაყოფილების ხმა გაისმა—მას მოჰყვა ყვირილი, არევ-დარევა, „ძირს“ და სხვა. როგორც შევიტყვე, ორატორი „მენშევიკი“ უნდა ყოფილიყო.

ეს იყო ერთ ალაგას—კაი ძალი ხალხი იყო თავმოყრილი. სხვა ალაგას ჯგუფური ლაპარაკია.

ერთ ჯგუფში პოლკოვნიკი სდგას, ცხარე კამათია გამართული მისსა და ჯარისკაცებს შორის. მეორე ალაგას ერთი თავისუფალი მოქალაქე ჩავარდნიათ ჯარისკაცებს ხელში და კამათობენ. ჯარისკაცების უმეტესობა ყველგან „ბოლშევიკების“ მომხრენი არიან. ომის გათავება, ფრონტზე წინსვლის შეჩერება, დაძმობილება, მთელი სახელმწიფო ძალა-უფლების სოციალისტების ხელში გადასვლა, მიწების დღესვე გაყოფა და სხვადასხვა—ყველა ეს კითხვები თავისებურ დამცველებს ჰპოულობენ.

ყოველი მხრიდან მოისმის დაუსრულებლათ სიტყვა: ამხანაგებო, რაც იმის მაჩვენებელია, რომ წესიერება ვერ არის დაცული: არა აძლევენ ლაპარაკის ნებას ერთს, მეორეს იტყვას შუაზე აწყვეტინებენ.

ლაპარაკობს ხელახლა „მენშევიკი“. მოჰყავს „ბოლშევიკების“ კონფერენციის რეზოლიუციიდან ის ალაგი, სადაც დაგმობილია სეპარატიული ზავი გერმანიასთან.

— არ არის სიმართლე! მოისმის ზოგიერთ ჯარის კაცებისაგან.

„ბოლშევიკ“ ორატორის სიტყვებს უმრავლესობაში გასავალი აქვს. რისთვის?

ყველას თავი მობეზრა ომმა, ყველას სურს მისი დასრულება და აი, „ბოლშევიკი“ ეუბნება:

უნდა დავამთავროთ ომი. კითხვაზე: თუ როგორ—სოციალისტური მთავრობის შედგენა, მოკავშირეებთან კავშირის გაწყვეტა თუ ვინიცობაა, არ გამოგვყვებიან, აი რა აზრი გამოაქვთ ჯარის კაცებს ამ სიტყვებიდან. ეს ხომ სეპარატიულ ზავამდე მიგვიყვანს, რასაც „ბოლშევიკები“ ეწინააღმდეგებიან? მოკამათე ჯარისკაცი უხერხულ მდგომარეობაში ვარდება. ამბობს: ეს ჩემი კერძო აზრია. „ბოლშევიკები“ კარგი ხალხია. იმათ თუ გავყვებით ჩვენ ომიც ადრე დამთავრდება, გლეხებს მიწებიც მიეცემა, სოციალიზმიც ადრე განხორციელდება და სხ. თქვენ კი „მენშევიკები“ ბურჟუებს ეხმარებით, იმათ ამაგრებთ, რომ ისინი ჩვენ თავს დაგვესხან. გრძელდება ამ ტონით ლაპარაკი.

ხალხი თანდათან აკლდება, ჯგუფური ლაპარაკიც მცირდება. უკვე თერთმეტის ნახევარია. ტრიბუნაზე ადის „ბოლშევიკი“ და ამბობს დაძმობილების შესახებ. დაძმობილება ამხანაგებო, ერთ ფრონტზე კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ ყველა ფრონტებზე შეთანხმებულათ და სხ. საუკეთესო აზრია, მაგრამ ასე არ ესმით ის მაყურებელთ.

— რაკი დაძმობილებაა, სულ ერთია—რა ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ეს—ასე მსჯელობს ჩვენი ჯარისკაცი.

„ბოლშევიკი“ ქალი გრძელ სიტყვას ამბობს, ასაბუთებს თანხების სოციალიზაციის საჭიროებას. ეს იმას ნიშნავს, ამბობს ის, რომ კაპიტალისტების მოგება ხალხის სასარგებლოთ უნდა იქნეს მოხმარილი.

მაყურებელს კი ასეთი დასკვნა გამოაქვს: ბურჟუებს თანხები უნდა ჩამოართვათ, ბანკები ჩვენს განკარგულებაში უნდა იყოს.

„მენშევიკები“ ხალხზე მიწის გადაცემის წინააღმდეგი არიან, მიწები დაუთესავი რჩება, ხალხს, ჯარს ამის გამო დამშევა მოელის.

— მოღალატობაა, სირცხვილია ასეთი მოქმედება ისმის ხმები!

დაბოლოს ლაპარაკობს ქალი, „ბოლშევიკი“. ასაბუთებს სოციალიზმის აუცილებლობას, მის კარგ მხარეებს ღარიბ ხალხისთვის და ამბობს: ჩვენ „ბოლშევიკები“, „მენშევიკები“ და სხვ. რევოლიუციონერები ყველანი სოციალიზმის საქმეს ვემსახურებით. განსხვავება ჩვენს შორის ესაა. ჩვენ, „ბოლშევიკებს“ სოციალიზმში შესასვლელად სწორი და მოკლე გზა გვაქვს, იმათ კი—გრძელი.

— არ გვინდა გრძელი გზა, მოკლე გზით წავიდეთ მოისმის ხმები.

ასე მიმდინარეობს „ბოლშევიკების“ ეს „მოძრავი“ მიტინგი.

ხალხი აბუჩად ჰყავს აგდებული ბურჟუაზიის იმიტომ, რომ სათავეში სახელმწიფოს სოციალისტური მთავრობა არ უდგია არა, [illegible] სათავე! ხალხიც უნდობლობას უცხადებს დროებით მთავრობას.

— არ უნდა დავემორჩილოთ მის განკარგულებასო და სხვა მოისმის ხმები.

რომელ კონტრ-რევოლიუციონერს არ გაახარებს ის არევ დარევა, რომელიც ალექსანდრეს ბაღში ხდება, რომელი ანარქისტი არ მოაწერს მასზე ხელს, რომელი „პროვოკატორი“ არ ამოუდგება გვერდში იმ ჩვენს ალალ მართალ ჯარისკაცს, რომელიც მხოლოდ ალექსანდრეს ბაღში გაეცნო „ბოლშევიკებს“?

„ბოლშევიკები“ კი ამბობენ, ტრაბახობენ:

— დიდ საქმეს ვაკეთებთო.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

სად. ბალაჯარა.

7 ივნისს შესდგა ბალაჯარის რაიონის რ. ს. დ. მ. პ. საერთო კრება. კრებას დაესწრო ასზე მეტი წევრი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ა. კეკნაძე, მდივნათ ამხ. ნ. სვანიძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება რაიონულ კომიტეტის; 2) პარტიის საოლქო ყრილობაზე დელეგატის არჩევა; 3) რაიონული კომიტეტის წევრთა დამატებითი არჩევნები და 4) მიმდინარე კითხვები. კომიტეტის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მიუხედავათ განსაკუთრებულ—ძველი რეჟიმის მიერ ნაანდერძევ პირობებისა რკ. გზაზე, კომიტეტმა მაინც ბევრის გაკეთება შესძლო, რომ ყოველგვარ წამოყენებული კითხვა ცხოვრებაში გაეყვანა. მაგალითად: კომიტეტი ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას ყველა იმ არჩევნებში, რომელიც აქ მოხდა. სულ მოკლე დროში კომიტეტმა შესძლო 4 ლექციის მოწყობა ცხოვრების სხვადასხვა თემაზე; კომიტეტთან არსებული პრესის ბიურო ამჟამათ იწერს დაავრცელებს შემდეგ გაზეთებს: „ბორბას“ 50, „ერთობას“ 50, „იზვესტიას სალ. და მუშ.“ 100 თათრულ გაზ. „აჩიკ სოზ“ 15. ამ დღეებში დაიწყებს გამოსვლას მეუმცირესების გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“, ბიუროს უკვე 200 ხელის მომწერი ჰყავს. კომიტეტს ბიუროსათვის დაუქირავებია სახლი, სადაც ყოველდღე ხდება ახალი წევრების ჩაწერა, იქვე იქნება სკოლა მომავალი პროპაგანდისტების მოსამზადებლათ, სადაც უნდა დაიწყოს მეცადინეობა ამ დღეებში. ბალაჯარის რაიონში ჯერ-ჯერობით ითვლება 300 წევრამდე. კრებამ მოიწონა კომიტეტის მუშაობა და გადავიდა არჩევნებზე. საოლქო ყრილობაზე დელეგატათ არჩეულ იქნა ამხ. ა. კეკნაძე. ამის შემდეგ კომიტეტიდან შემოდის წინადადება, რომ საჭიროა კომიტეტის წევრთა რიცხვის გადიდება. წინადადება კრებამ მიიღო და დამატებითი არჩევნების დროს კომიტეტში შევიდნენ კიდევ შემდეგი ამხანაგები: ჯაფარიძე, ნიკოლაიშვილი ნიკ., ივანკოვი, კვასკოვი და ხვედელიძე. დასასრულ კრებამ გადასწყვიტა, რომ უკეთ გაერკვეს თვითეული მომენტის მიერ წამოყენებულ კითხვებში, საერთო კრება მოწვეულ იქნეს ყოველ კვირაში ერთხელ მაინც.

ძველ-ტუავი.

სოფ. საჭილაო.

4 მაისს მოწვეული იყო საჭილაოს რ. ს. დ. მ. პარტიის წევრთა კრება. კრებას დაესწრო 140, თავმჯდომარეთ აირჩიეს ლ. დუნდუა, მდივნათ ე. ქორიძე. სხვადასხვა კითხვების გარჩევის შემდეგ კრებამ აირჩია დელეგატათ გ. ფ. ასათიანი.

28 მაისს კოლექტივის კრებაზე დაადგინეს, შემოწირულების სახით შეაგროვონ სტამბის ფონდისათვის როგორც წევრთა შორის აგრეთვე ს. დ. პ. თანაგრძნობთა შორის.

მეზობელი.

აბედათის საზოგადოება.

2 მაისს აქ ორკლასიან სკოლის დარბაზში გაიმართა დამფუძნებელი კრება ორგანიზაციისა. კრებამ თავმჯდომარედ აირჩია ყირიმი ჩიქოვანი, მდივნად მასწავლებელი კონდრატე ყურაშვილი. თავმჯდომარე ყირიმ ჩიქოვანმა წაიკითხა პარტიული საორგანიზაციო წესდება, რის შემდეგ დაისვა საკითხი პარტიული ორგანიზაციის მოწყობის შესახებ. ერთხმად გადაწყდა: აირჩიონ საზოგადოების კოლექტივი, შედგარი შვიდი კაცისაგან. აირჩიეს: მალაქია კიკალიშვილი, კონდრატე ყურაშვილი, გიორგი და ყირიმ ჩიქოვანები, დათიკო ანჯაფარიძე და ძმა მისი ილია, და სტეფანე წოწონავა.

კონდრატე ყურაშვილი.

ს. ონოღია.

1 ივნისს რ. ს. დ. მ. ორგანიზაციის სოფ. ონოღიის ხელმძღვანელმა ჯგუფმა გამართა პარტიული კრება. კრება მრავალრიცხოვანი იყო. თავმჯდომარედ აირჩიეს ს. ნაჭყებია. კრებამ რამოდენიმე საყურადღებო კითხვა გაარჩია.

პ. ონოღიელი.

რევოლიუცია პროვინციაში.

ს. ახმეტა. (თიანეთის მაზრა) 5 ივნისს გვესტუმრა დაბა თიანეთიდან ამხ. ფ. რამიშვილი, რომელსაც ხალხი წინეთაც ელოდა. მისი ინიციატორობით მოხდა კრება. მიუხედავათ იმისა, რომ უკვე გვიანი იყო, ადგილობრივ სამმართველოში ხალხმა მაინც მრავლათ მოიყარა თავი. პირველ ყოვლისა ამხ. რამიშვილი მიესალმა ხალხს. ის შეეხო დღევანდელს მომენტს. მან გარკვევით, მდაბიო ენით აუხსნა დღევანდელი მომენტის მნიშვნელობა დამფუძნებელ კრებაზე, საზოგადო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით არჩევნებზე. შემდეგ ილაპარაკა დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. შემდეგ მან მოუწოდა ხალხს სერიოზულათ შეხვედროდნენ ეხლანდელ დროს, ყველას მიეღო მუშაობაში მონაწილეობა, ყველას შეეგნო თავის მოვალეობები და მხარი დაეჭირათ მათთვის, ვინც მშრომელ ხალხის ინტერესებს იცავს. ის აქ დაჰყოფს რამოდენიმე ხანს და ამიტომ მოუწოდა ხალხს, რომ საღამოობით შეკრებილიყვნენ და დღევანდელი საპირბოროტო კითხვები გაერჩიათ, გაცნობილიყვნენ პარტიულ პროგრამებს. ხალხმა მადლობა გამოუცხადა ამხ. რამიშვილს. ხალხი ძლიერ დაინტერესებულია დღევანდელი მომენტით: ის ენერგიას იჩენს დღევანდელს დღეებით მუშაობაში და შეგნებით შეხვედრია. ხალხში დიდი თანაგრძნობა აქვს მოპოვებული სოც.-დემ.

ვახო გილაძე.

ახალციხე. კვირას, 4 ივნისს მოხდა მუშათა დეპუტატების საბჭოს დამფუძნებელი კრება. კრებას მიესალმა სხვადასხვა კერძო პირი და დაწესებულებანი. დასასრულ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: 3 სოციალდემოკრატი და 2 დაშნაკელი. ამ გარემოებამ დაშნაკელებს ძლიერ დაუფრთხო და დაუკმაყოფილებლივ მიყვეს ხელი ჩვეულებრივ ოინებს. შემდეგ კრებაზე მათ უკანონოთ აღიარეს წინა დღის არჩევნები. არჩევნების უკანონობას ასაბუთებდნენ იმით, რომ საბჭოში არჩეულ იქმნა თფილისის მუშათა საბჭოს რწმუნებული ამხ. ხ. ჩატურიანი, რომელსაც, დაშნაკელების აზრით, არ ქონდა უფლება არჩევნებში მონაწილეობა მიეღო ან თვით ყოფილიყო არჩეული, როგორც „გარეშე“ ადამიანი.

საბჭოს ზოგიერთმა წევრებმა აშკარათ დაამტკიცეს სრული უსაფუძვლობა დაშნაკელების „არძიული“ მსჯელობისა; მიუხედავათ ამისა დაშნაკელებმა მაინც მოახდინეს არჩევნები და რაღაც სასწაულით პრეზიდიუმში გაიყვანეს 4 დაშნაკელი და 1 სოც.-დემოკრატი. ეს სოციალ-დემოკრატი ისევ ამხ. ვ. ხ. ჩატურიანი, რომელიც შემდეგ თავმჯდომარეთაც იქმნა არჩეული იმავ დაშნაკელების მიერ, რომლებმაც სადავოთ გახადეს ამხ. ხ. ჩატურიანის საარჩევნო უფლებები. ამის შემდეგ, რასაკვირველია ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა, თუ რითი ხელმძღვანელობდნენ დაშნაკელები პირველი არჩევნების დარღვევის დროს.

ამავე დღეს პრეზიდიუმმა ამხ. ხ. ჩატურიანის წინადადებით დაადგინა დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნეს 8 საათის სამუშაო დღე. ეს დადგენილება მეორე დღესვე ამცნეს ქარხნების პატრონებს, რაც ამხ. ხ. ჩატურიანის ცდით უკვე სისრულეში იქნა მოყვანილი. ამგვარათ ახალციხის ყველა ქარხნებში უკვე განხორციელდა 8 საათის სამუშაო დღე. მუშები მუშაობენ დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდის და 1 საათიდან შუადღის 4 საათამდი.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ არსად ისე ჩამორჩენილი არ არიან მუშები, როგორც ახალციხეში. განსაკუთრებით ეს ითქმის რაბათის მუშებზე. ყავახანებში დროს გატარება, ნარდის და კარტის თამაში ყველაფერს ურჩევნიათ. კრებებს სათოფეთაც არ ეკარებიან. დიდი ხვეწნა-ვედრება არის საჭირო, რომ მათ ერთად თავი შეუყარო და ესაუბრო. რუსეთში მომხდარ ამბებს რა დამოკიდებულება აქვს მუშების ბედ-იღბალთან, მათ მომავალ ცხოვრებასთან არც იციან და არც უნდათ გაიგონ. სამკითხველოში ქუდი რომ შეუგდოთ არ შევლენ.

ამას წინეთ აქ გაიმართა სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციის თაოსნობით ორი მიტინგი, რომელთაც დაესწრო აუარებელი ჯარისკაცნი. პირველ მიტინგზე შეეხნენ ომის და ზავის საკითხს. გაარკვიეს რა ომის მიზეზები და მისი გამანადგურებელი ხასიათი, მოითხოვეს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი. ჯარისკაცნი დიდს ოვაციებს უმართავდნენ ორატორებს. მიტინგმა დეპეშა გაუგზავნა დეპ. ჩხეიძეს; მეორე მიტინგზე დამსწრე საზოგადოებამ პროტესტი განაცხადა ფრიდრიხ ადლერის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და შესაფერი დეპეშა გაუგზავნა პეტროგრადის მუშათა საბჭოს.

22 აპრილს სოც.-დემ. ორგანიზაციამ გამართა წითელი ყვავილის დღე. წმინდა შემოსავალი დარჩა 965 მან.; 4 ივნისს გამართეს წარმოდგენა. დარჩა 350 მან.

სოც.-დემ. ყრილობაზე დასასწრებლათ თფილისში ორგანიზაციამ გაგზავნა ვარლამ გარდაძე.

ბედით განაწყენები.

წერილები რედაქციის მიმართ.

ვსთხოვთ ამხ. ვლასა მგელაძეს და პოლიკარპე ედ. გოგიაშვილს გვაცნობოს რამე სოლომონ ივანეს ძე ვადაჭკორიას შესახებ, რომელიც ჟენევაში იყო მათთან.

ჩემი მისამართი: სად. ლანჩხუთი სოფ. აკეთი.

გალინა წ.

ს. ხევი. აქ გაიმართა წარმოდგენა ხევის სამკითხველოს სასარგებლოთ. სამკითხველოს დარჩა 70 მანეთი, რისთვისაც ხევის სამკითხველოს გამგეობა უცხადებს ახალ დაარსებულ სცენის მოყვარეთა დასს უღრმეს მადლობას. აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნის გამგეობა ლავრენტი თომას ძე მამალაძეს და დიომიდე მამალაძეს, რომლებმაც არ დაზოგეს თავიანთი შრომა და სამკითხველოს სასარგებლოთ მოაგროვეს, პირველმა 69 მ. 20 კ. მეორემ კი 126 მანეთი გამგეობის მონდობილობით მარო მამალაძიხა.

მადლობას უცხადებთ ბ. ლევარსამ კიმირიას, რომელმაც გაზეთი „ერთობა“ გამოუწერა, მაისის თვიდან წლის დამლევამდი, სეფიეთის სამკითხველოს. სამკითხველოს გამგ.

მიხეილ თოფურიძე.

სოფ. ხოფლე. აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ვაცხადებ, რომ მაისის 25 „ერთობის“ ნომერში მოთავსებული ცნობა არ არის მართალი და ის ხალხი, რომლებიც ჰყავს კორესპონდენტს დასახელებული დამნაშავენი არ არიან. სამწუხაროა, რომ ვიღაცეები ასეთ ცნობას აწვდიან რედაქციას და ჩვენს საქმეს რევენ. **ილიკო გიორგაშვილი.**

მადლობას უცხადებთ მარია გეგიძისას, რომლის შრომით ბაქოში 68 მ. შეკრიბა წითელ-მთის სოფლის სამკითხველოს სასარგებლოთ.

დ. ერქომაიშვილი.

აპრილის გასულს დათხოვნილი იქმნა სამსახურიდან ქალთა სასულიერო სემინარიის გამგის თანაშემწე ქ-ნი ივლიტა ნაკაშიძისა. მიზეზი მისი დათხოვნისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იყო სრულიად სხვა და არა ის, რაც ქ. ნაკაშიძისას დაუსაბუთებია თავის საჩივარში. (იხ. სამედიატორო სასამართლოს განაჩენი „ერთობის“ № 69-ში) სახელდობრ, ვითომც მისი დათხოვნა იყო შედეგი გამგის ქ. ალექ. ფილევას მიერ გავრცელებულ ხმებისა, თითქოს ივ. ნაკაშიძისა არის ავტორი იმ უკადრისის შინაარსის უსახელო წერილებისა, რომლებიც მიდიოდათ სემინარიასთან დაახლოვებულ ზოგიერთ პირთ ქ. ფილევას პიროვნების შესალახად. ნამდვილათ კი საქმე ასე იყო: ქ. ნაკაშიძისამ გასულ სამოსწავლო წელში შექმნა სასწავლებელში ისეთი პირობები, რომ ნაყოფიერი საერთო მუშაობა შეუძლებელი გახდა, როგორც სემინარიის გამგესთვის, ისე მასწავლებლებისათვის. ქ-ნ ნაკაშიძის მოქმედება, როგორც აღმზრდელისას, მასწავლებელთა მთელი კოლეგია მავნებლად სცნობდა. „განათლების“ საზოგადოების გამგეობა ასეთ პირს ცხადია ვერ დასტოვებდა სამსახურში თავის სასწავლებელში და არც დასტოვა. ასე რომ უსახელო წერილებით არ უხელმძღვანელებიათ არც მასწავლებლებს თავიანთ განცხადების დასაბუთებაში და არც გამგეობის მიერ მის დადგენილებაში.

„განათლების“ საზოგადოების გამგეობა.

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთი „ერთობის“ საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ქიათურის მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეთა კრებულს, რომელმაც ჩემი ქალის ლიდას საექიმოთ ოცდაათი თუმანი დახმარება აღმომიჩინა. პატივისცემით **ბესარიონ ნიკოლაიშვილი.**

ღია წერილი ბ. ვასილ ქეიშვილს.

ბ. ვასილ! ჩვენ, ჩვენს პროფესიაში ვგროვებდით არა ლეგალურად ყოველ შაბათს თითო შაურს კაცის თავზე, მოლარეთ თქვენ იყავით არჩეული. მას შემდეგ ორი წელიწადია და ანგარიში კი არ გაგისწორებიათ. ეხლა 25 მაისს შესდგა „ქუთაისის ევროპული ფეხსაცმელების მკერავი მუშათა პროფესიონალური კავშირის“ კრება ქ. ქუთაისში და სხვათაშორის დღიურ წესრიგში დასმული იყო ამ თითო შაურის კითხვა. კრებამ დაადგინა, რომ მოეთხოვოს ზემოხსენებული ფულის ანგარიში ვ. ქეიშვილს. ეხლა კავშირის ბიურო გთხოვთ გაგვისწოროთ ანგარიში უკეთუ ამ წერილის დაბეჭდვის დღიდან ორი კვირის განმავლობაში არ გაასწორებთ მაშინ ვიტოვებთ უფლებას მივმართოთ სხვა საშუალებას. თავმჯდომარე **გიორგი ბარაბაძე**

ბ. ლევან ბერაძეს.

თქვენ დამდეთ ბრალი ვითომცა მე ვიყო გამცემი. გაძლევთ წინადადებას გამომყვეთ სამედიატორო სასამართლოში. ჩემის მხრით ვასახელებ ნოე კალანდაძეს და სამსონ მიქელაძეს. ვადას გაძლევთ ერთი კვირის დღიდან გამოცხადებისა. [illegible] სამტრედიაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას გიწოდო შესაფერი სახელი.

ანდრია ჯაია.

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ მოქალაქეთ, რომლებმაც არ დაიშურეს შრომა და სოფ. აკეთის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ მათ ნაცნობებს შორის შეაგროვეს შემოწირულება და გამოგვიგზავნეს: ივლიანე ესეს ძე პანტურიშვილმა (ქ ტრაპიზონში) 117 მ. 40 კ., მელგვა ესეს ძე პანტურიშვილმა (სად. ქურდამირში) 30 მ., ზაქრო ვადაჭკორიამ (აჭარაში მუსულმანთა შორის) 33 მ., ევტიხი ესეს ძე ვადაჭკორიამ (თბილისში) 10 მ., მიხაკო პანტურიშვილმა (ყვარცხანისამუშებში) 6 მ. 50 კ., დავით ეფრემის ძე მორჩილაძემ (ბათომში 58 მ. ფულად, 3 ც. წიგნი ღირ. 3 მ., კატო მგელაძემ (წვეულ.) 2 მ. 10 კ., გიორგი ი. ცოცხალაიშვილმა (თბილისში) 81 მან. 35 კ.

მადლობას ვწირავთ აგრეთვე ვინც შემწეობა აღმოგვიჩინეს.

პატივ. სამკ. გამგ. წევრი ლავ. თოხაძე.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარის კაცი ნოე გიგოს ძე ალექსაია, მსახურობდა მე-154 დერბენტის პოლკში მეორე როტაში 1 ზვოდში, ვსთხოვ ამხანაგებს ყველა საავადმყოფოს მოსამსახურეთ თუ რამე იციან მის შესახებ მაცნობონ: ნიგოითი გიგო ალექსაიას.

— ჯარის კაცი ნესტორ ტარიელის ძე ჩომახიძე მსახურობდა მოქმედ ჯარში კრემენჩუგში, მე 140 ზარაისკის პოლკში, მე 10 როტაში, თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ გვაცნობოთ ამ მისამართით: Дидиджихаиши Исполнительный комитетъ Цкитишвили.

— ნიკიფორე გიორგის ძე ჩიტაია მსახურობდა თერგის ოლქში სლაბოდა ვაზდვიჟენკაში მე 11 ცხენოსნის სათადარიგო პოლკში, მეორე ბატალიონში მე-6 როტაში, მესამე ზვოდში. გვაცნობეთ—შემდეგ მისამართით: მე 118 კავკასიის მე-4 სამხედრო ეპიფანე გიორგის ძე ჩიტიას.

— ზაქარია დარისპანის ძე იაკობაშვილი მსახურობდა ქ. ურმიაში 27 „ეტაპნი ბატალიონში“, 29 მაისს დილის 9 საათზე მცირე ავადმყოფობის შემდეგ ყვავილით გარდაიცვალა.

ჯარის კაცების მონდობილობით დათიკო მანკოტაძე.

— ჯარის კაცი მიხეილ დათას ძე ხაბეიშვილი მსახურობდა მეორე კავკასიის გზის განყოფილებაში მეთორმეტე მუშათა ბატალიონში მეოთხე როტაში პირველ ზვოდში. გთხოვთ გვაცნობოთ მის შესახებ: Абаша Мелитону Коява для Биту Хабеишвили.

— უნტ. ოფიცერი ილიკო სიმონის ძე კვაჭაძე (ს. ოქროსქედის ოზურ. მაზ.) მსახურობდა სატვირთავ ტრანსპორტში, დიდი ხანია არაფერი ვიცით მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: Батумъ сборная команда 221 запаснаго полка М. С. Квачадзе.

— მაქსიმე ალექსანდრეს ძე გობრონიძე 219 ზაპასნი ბატალიონში, 11 როტა, 7 ზვოდი (ქ. ელიზავეტპოლში). 8 თვეა არაფერი ვიცით მის შესახებ. ვსთხოვ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგ მისამართით: Озургеты Лихаури Александру Гобронидзе.

რედ.-გამომცემელი ვლ. შ. ხოხოხაძე.

მესამე სამილიციო ნაწილის ბინის საბჭო
იმყოფება სოლოლაკის და პასკევიჩის ქუჩების კუთხეში,
სახლი ყოფილ საგუბერნიო მართველობისა.
მიღება თხოვნებისა და განცხადებების დილის 10—12 საათამდი.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Ремановичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба“.

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

[illegible]

„განათლება“-ში

[illegible]

[illegible] „ერთობა“, „ბორბა“, „კავკ. რაბოჩი“, [illegible] „მაცნე“, [illegible]

ფულები და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. [illegible] ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

[illegible] № 1.